შაბათი, 28 აპრილი 1907 წ. — 14 — წელიწადი პირველი — № 91

# ისარი

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

გაზეთ «ისარი»-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ. უკანასკ.—10 კ.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება «ისარი»-ს რედაქციასა და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე.

რედაქციის და კანტორის ადრესი: ელისაბედ. ქ. № 1

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ინახება [illegible] დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა [illegible] მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 11-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.

თითო ნომერი ყველგან 5 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „ИСАРИ“

## „ისარი“-ის ხელის მომწერთა საყურადღებოდ

„ისარი“-ს კანტორა აცხადებს იმათ საყურადღებოდ, ვისაც ფული არ შემოუტანია, რომ გაზეთის გზავნა მოესპობათ, თუ დროზე არ შემოიტანენ ხვედრ ფულს. პირველ მაისიდან გაზეთი მოესპობათ: ტფილისში—ვისაც სამ მანეთზე მეტი არ შემოუტანია, ტფილისს გარედ—ვისაც 3 მან. 50 კაპ. მეტი.

პირველ მაისიდან წლის დამლევამდე გაზეთი ღირს: ტფილისში—4 მ. 60 კ. ტფილისს გარედ—5 მ. 30 კ., საზღვარ-გარედ—8 მან.

ერთი თვით გაზეთი ღირს: ტფილისში 75, ტფილისს გარედ—80 კაპ., საზღვარ-გარედ—1 მ. 50 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

დღეს 28 აპრილს

## იაროსლავის მაღაზიაში

გოლოვინის პროსპექტი, სახაზინო თეატრის მახლობლად, „ბოიარსკი“ სასტუმროს პირდაპირ, ს სტეფანოვისა.

## დასაწყისი დარჩენილ საქონლის იაფ-გაყიდვისა

ვაჭრობა გასტანს მთელ კვირ ცხოვლობის კვირას, ე. ი. 30 აპრილს, 1, 2, 3, 4 და 5 მაისს. (1—ხალ. 69—1)

21/ც-65 1

კბილის ექიმი
**ალ. სოლოღაშვილი**
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12, ახლი მდივნისა. (34)

ექიმი
**ე. ვაშაკიძე**
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.-უ—38)

ექიმი
**ა. ნ. დიასამიძე**
**ქალისა და ყრმების.** დილით 9—10 ს., საღამოობით 6—8. ყორღანოვის ქუჩა № 14.

ექიმი
**ვ. ხ. მუსხელიშვილი**
მიიღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილით 9—$11^1/_2$. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

კბილის ექიმი
**ნინო რცხილაძე**
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, 6—7 საათზე. ვერა, ოლგას ქუჩა, № 25. (0—90)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
**მიხეილ გედევანიშვილისა**
იღებს ავადმყოფებს დილის 12—1 ს., საღამოობით 6—7 საათ. ვერაზე, ყორღანოვის ქუჩა, საკ. სახლი № 20. ტელეფ. № 791. (წლ.—98)

ქ. ქუთაისში
**ბავშვების ექიმი ბადრიძე**
ავადმყოფებს მიიღებს დილით 9—12, საღამოთი 5—6 საათამდე, პოლიციის ქუჩა, სახლი ციციაშვილისა. (25—ფ.—11)

ექიმი
**ქ. ი. გძელიშვილი**
იღებს **ყურის, ცხვირის** და **ყელის** ავადმყოფებს დილის 12—1 ს. საღამოთი 5—7 ს. ელისაბედის ქუჩა, № 7. სახლი მეწულოვისა. (25—17)

## სამკურნალო
ექიმთა საზოგადოებისა
**ტფილისში**
მუდმივის საწოლებით
(ელისაბედის ქუჩა, № 79, ტელეფ. № 1026).

მიიღება გარედან მოსიარულე ავადმყოფებისა
**მიხეილ აგაჯანოვი**: 11—12 ს. საშარდე, კანისა და სიფილისი.
**ი. ნ. ეგიაზაროვი**: 11—12 ს. ნერვების, შინაგან ავადმ., წამლობა ელექტრონით.
**გ. ა. ტატევოსოვი**: 12—1 ს. შინაგანი და საბავშვო ავადმყოფობანი.
**ი. გ. ავეტისოვი**: 12—1 ს. ქალისა და ბებიობისა.
**მ. ბ. გიმონჯი**: 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურისა.
**მ. ა. ზეიერი**: 1—2 ს. საბავშვო და შინაგანი,
**ი. ნ. თუმანოვი**: 5—6 ს. საღამოთი. ქალისა და ბებიობისა:

სამკურნალოსთან შეიძლება ექიმობა ჰიპნოზით, აგრეთვე მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები შეთანხმებით. დაწოლა შეიძლება საზოგადო პალატაში და ცალკე ნომრებში. (100—ხალ.—56)

## კავკასიის სამთო სამართველოს უფროსის თანაშემწე სტატ. სოვ მ. ი. ჩინგერი

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ მისის თავმჯდომარეობით, ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრის განკარგულების თანახმად, 1907 წლის 24 მაისს ქუთაისში მოწვეული იქნება მეცხრე (მორიგი) კრება შორაპნის მაზრის შავი ქვის მრეწველთა.

**განსახილველი საგნები:**

1. კრების მდივნის არჩევა.
2. განხილვა ანგარიშებისა: 1) კრების საბჭოსი, ბ) სარევიზიო კომისიისა, გ) იმ კომიტეტისა, რომელიც ჭიათურის შტოზე პლატფორმებსა და ვაგონებს ანაწილებს.
3. განხილვა სტატისტიკურ ცნობებისა მადნების სიმდიდრეზე, შავი ქვის რაოდენობაზე რკინის გზის სადგურებში და იმაზე, თუ რამდენი ქვა გააქვთ, ამიერ-კავკასიის რკინის გზის გადასაზიდ საშუალებებზე და საწყობ ადგილებზე როგორც ჭიათურის შტოზე, ისე მთავარ ლიანდაგზე.
4. შეცვლა და დამატება, საზოგადო დებულების დამტკიცებამდე, კრების შესახებ დებულების ზოგიერთ პარაგრაფისა.
5. საკითხი იმის შესახებ, რომ შავი ქვის მრეწველთა კრების საბჭოს უფლება მიეცეს აიღოს საბჭოს სავალდებულო დაუყოვნებელ ხარჯების გასასტუმრებლად სესხი საკრედიტო დაწესებულებიდან ან საზოგადოებიდან და კერძო კაცთაგან.
6. საკითხი ჭიათურის შტოს განიერ ლიანდაგად გადაკეთების ან და მეორე ვიწრო-ლიანდაგიან შტოს გაყვანის შესახებ.
7. ჭიათურის შტოზე მარგანეცის გადასაზიდ ტარიფის დაკლება და იმავე შტოზე ნორმალურ ტარიფის დაწესება სხვა, მარგანეცის გარდა, საქონელზე.
8. ჭიათურის შტოთი გატანილ მარგანეცზე საფუთო გადასახადის გადიდება ორ კაპეიკამდე და გავრცელება ამ გადასახადისა მარგანეცის იმ მადანზე, რომელიც მიაქვთ, ჭიათურის შტოს გარეშე, რკინის გზის სხვა და სხვა სადგურზე.
9. სამთო დეპარტამენტის წინადადება 1905 წლის 15 ნოემბრის № 2582 ით იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოწესრიგდეს შავი-ქვის მრეწველობის საქმე ჭიათურაში.
10. მისავალ გზების გაყვანა ჭიათურის შტომდე.
11. ზოგიერთ მრეწველთა თხოვნა დღეს არსებულ საქალაქო სასწავლებლის ნაცვლად ჭიათურაში ვაჟთა გიმნაზიის დაარსების შესახებ.
12. გადათვალიერება შავი ქვის მრეწველთა მერვე კრების მიერ დამტკიცებულ ინსტრუქციისა სტიპენდიების და შემწეობების განაწილების შესახებ.
13. ჭიათურის და მახლობელ სოფლების მცხოვრებთა შუამდგომლობა ჭიათურის დაწყებით სკოლის პირველ განყოფილებასთან პარალელურ განყოფილების გახსნის შესახებ.
14. გადათვალიერება შავი-ქვის მრეწველთა მერვე კრების დადგენილებისა მუშების, მრეწველთა და მოსამსახურეთა ექიმობის შესახებ, აგრეთვე ჭიათურის სამრეწველო საავადმყოფოდან წამლების გაცემის შესახებ.
15. საკითხი მრეწველთა კრებაზე მუშების წარმომადგენელთა დაშვების შესახებ.
16. განხილვა შავი-ქვის მრეწველთა საბჭოს, ფოთის ქალაქის გამგეობის და მარგანეცის ექსპორტერთა კომიტეტის შეერთებულ სხდომის დადგენილებისა ფოთში დამტვირთველ მუშებისთვის საცხოვრებელ სახლის აგების შესახებ.
17. ფოთის შავი ქვის მრეწველთა წინადადება ფოთში მტვირთველ მუშებისთვის საავადმყოფოს გამართვის შესახებ.
18. მაღაროებში წყლის გაყვანა.
19. მოთხოვნილება შავი ქვის მრეწველთა კრების დაწესებულების მოსამსახურეთა და მუშებისა მათ ყოფა-მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ.
20. საკითხი დაბალ სამთო-სატეხნიკო განათლების შესახებ.
21. განხილვა და დამტკიცება საბჭოს შესავალ-გასავლის აღრიცხვისა 1907 წლისათვის.
22. არჩევა კრების საბჭოს თანამდებობის კაცებისა. (3—ნ.—3)

ტფილისის ქალაქის
## გამგეობა

ბ-ნთ ვაჭართა საყურადღებოდ აცხადებს, რომ ზოგიერთ მათგანს აქვს ცენზის ქონება, მაგრამ რაკი მათზე ირიცხება ნედოიმკები დასაფასებელ გადასახადის, ისინი გამორიცხული არიან უძრავ ქონების მესაკუთრეთა სიიდან, ხოლო რადგან ასეთი პირები იმავე დროს შეცდომით შეტანილნი იყვნენ სავაჭრო ცენზის მიხედვით ამომრჩეველთა წინასწარ სიებში, ახლა ასეთი შეცდომით შეტანილნი უნდა გამოირიცხონ ვაჭართა სიებიდან. ამიტომაც ქალაქის გამგეობა სთხოვს უკანასკნელებს, შემოიტანონ აღნიშნული ნედოიმკები მეორე საარჩევნო ნაწილში ამ მდგომარე წლის 2 მაისამდე, ხოლო მესამეში 9 მაისამდე, თუ სურთ, რომ მონაწილეობა მიიღონ ქალაქის საბჭოს ხმოსანთა არჩევნებში. (3—ნ.—1)

ტფილისის ქალაქის
## გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ მსურველთ შეუძლიანთ მიიღონ ქალაქის გამგეობის კანცელარიაში ამა წლის 27 აპრილიდან, დილის 10 საათიდან საღამოს 3 საათამდე, გარდა კვირა-უქმე დღეებისა, პირველ საარჩევნო ნაწილის, რომელიც შესდგება 1, 2, 3 და 4 საპოლიციო ნაწილისაგან, საბოლოო სია იმ ამომრჩეველთა, რომელნიც მიიღებენ მონაწილეობას მომავალ 1907—1911 წლების ქალაქ ტფ. საბჭოს ხმოსანთა არჩევნებში, და აგრეთვე ინსტრუქცია თვით არჩევნების მოხდენის შესახებ და ბლანკები იმ პირთა ჩასაწერად, რომელნიც დასახელებულნი იქნებიან კანდიდატებად ხმოსნობაზე. (3—ნ.—1)

გამოვიდა და იყიდება წიგნის მაღაზიებში
## „ბნელეთის ევოლიუცია
### თავ-ემმაკთ რევოლიუცია“.
პ. აკობიასი. ფასი 5 კაპ. (6—ნ—2)

შაბათს, 28 აპრილს, „ტფილისის სობრანიეში“
(მიხეილოვის პროსპექტი)
ყაზბეგის ქალთა სკოლის სასარგებლოდ გამართული იქნება სეირნობა
## გაზაფხულის მიგებება
დასაწყისი 12 საათზე, ბაღში შესასვლელი ფასი 20 კ. ყმაწვილებისათვის 10 კ.

**ქართული წარმოდგენა**
შაბათს, 28 აპრილს, ქართულ სცენის მოყვარეთა მიერ სახალხო აუდიტორიაში, ავჭალის ქუჩაზე
წარმოდგენილი იქნება
## შემოსავლიანი ადგილი
კომ. 5 მ. ოსტროვსკისა, თარგ. ა. ცაგარლისა. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ტფილისი, 28 აპრილი

დღესასწაულებისა გამო სათათბიროს ტრიბუნა დროებით გაჩუმდა. დეპეშა კადეტების დიპლომატიურ სიტყვებს, მონარქისტების შფოთიანობას და მემარცხენეების მრისხანე კრიტიკას აღარ გვაცნობებს. თითქოს რაღაც მყუდროება ჩამოვარდა. მყუდროება, როდესაც ირგვლივ აუარებელი საქმეები ელიან თავის ჯერს პარლამენტისაგან ახალის ხორცის და სულის მოსაპოებლად; მყუდროება, როდესაც ათასი წყლული თხოულობს გამორწყვას, ათასი მწუხარება და ტკივილი—დაამებას.

თითქოს საბუთი გვაქვს მოუთმენლად ველოდდეთ სათათბიროს მოქმედების განახლებას. თითქოს საბუთი გვაქვს, გულს გვაკლდეს, რომ ტრადიციად ქცეული დღესასწაულები პარლამენტის მოღვაწეობას აჩერებენ და ტყუილა აკარგვინებენ მას ძვირფას დროს. თითქოს საბუთი გვაქვს, მაგრამ მხოლოდ თითქოს და არა ნამდვილად.

ნამდვილად არც მოუთმენელი მაჯის ცემა ეტყობა ხალხს და არც მოწყენილობა. ნამდვილად პარლამენტის გაჩუმებამ მხოლოდ პოლიტიკურ მასლაათის მოტრფიალეებს აუთამაშა ნაღვლიანად გული, ხალხი კი ამის გამო სევდიანობას არ ეძლევა. ხალხის გულის ტკივილი მეტად დიდია, მეტად ღრმაა, რომ იმისი მგრძნობელობა დახშული არ იყოს ასეთის ფაქტებისათვის.

ხალხის წარმომადგენლებმა, შესდგეს თუ არა ფეხი ტავრიდის სასახლეში, თითქოს მაშინვე დაივიწყეს ხალხის გადამწიფებული საჭიროებანი და იმის ნაცვლად მიზანში თვით სათათბიროს დაცვა ამოიღეს. სრული ორი თვის განმავლობაში რუსეთის მეორე პარლამენტი სისტემატიურად მხოლოდ იმის ცდაში იყო, რომ თავისი არსებობა დაეცვა, თავისი მდგომარეობა გაემტკიცებინა, ხალხი და იმისი ინტერესები კი თითქოს იმ ქვასა და კირსა ჰგავდნენ, რომელსაც კედლის ასაშენებლად ხმარობენ. ამ ორი თვის განმავლობაში მარტოოდენ მემარცხენენი ჰბედავდნენ ზოგჯერ, პირდაპირ ხალხის ინტერესები ამოეღოთ მიზანში და არა სათათბიროს დაცვა, მაგრამ ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა წინადვე იცოდნენ, რომ სათათბიროს დამცველად დეპუტატების უფრო მეტი რიცხვი გამოვიდოდა მათ წინააღმდეგ და დაამარცხებდა კიდეც. ძალიან საგულისხმოა, რომ მემარცხენე ჯგუფები ხშირად ეუბნებოდნენ ერთმანეთს, თქვენ კადეტებს დაუჭირეთ მხარი, თორემ ჩვენ პარტიული პროგრამა ამის ნებას არ გვაძლევსო, ძალიან საგულისხმოა ისიც, რომ კადეტები მეხს აყრიდნენ თავს მემარცხენეებს, თქვენ ჩვენს ხარჯზე გსურთ რადიკალური პირდაპირობა შეინარჩუნოთო.

პარლამენტი თავის არსებობას იცავდა. თავის მდგომარეობას ამაგრებდა, შინაურ ორგანიზაციაზე ზრუნავდა, კომისიებს აარსებდა, ლაპარაკობდა ხან ეზოპის ენით, ხან ფრთხილად და ზოგჯერ გაბედვითაც, მაგრამ ცხოვრება კი ისევ ისე მიმდინარეობდა, როგორც პარლამენტის შეკრებამდე... არსად არავითარი ნიშანი რეაქციის შესუსტებისა, არავითარი სიმპტომი ახალის პრინციპების გამარჯვებისა... სტოლიპინის სამინისტრო წინანდელზე ნაკლებ არა ჰგრძნობდა, რომ მთელი სახელმწიფოებრივი ძალა მის ხელთ არის და რომ განმათავისუფლებელი მოძრაობა მას ვერაფერს ვერ დააკლებს.

პარლამენტის ენა კანონ-პროექტია, ამიტომ პარლამენტში ისტორიული დღეები არ გაიმართება, მჭერმეტყველება არ იქნება, იმის სამაგიეროდ რადიკალურ კანონ პროექტების დამტკიცებით შეებრძოლება იგი რეაქციას. ასე ამბობდნენ პარლამენტის გახსნისას და ეს თითქოს ძალიან ახლო იყო სიმართლესთან. მაგრამ გავიდა ორი თვე და ეხლა შეგვიძლიან ვიკითხოთ, რა რადიკალური კანონ-პროექტები დაამტკიცა სათათბირომ.

სათათბირომ ექვსი მილიონი მანეთი გადასდო ცენტრალურ დაწესებულებათა განკარგულებაში დამშეულთათვის საექიმო და სხვა ამ გვარ დახმარების აღმოსაჩენად. სამინისტრო ამ საგანზე უფრო ნაკლებს თხოულობდა სათათბირომ მოიწონა პროექტი სამხედრო-საველე სასამართლოთა გაუქმების შესახებ, მაგრამ სტოლიპინის სამინისტრომ ამ სასამართლოების გაუქმება თითონვე იცნო საჭიროდ, ასე რომ აქაც სათათბიროს რადიკალიზმს მაინც და მაინც დიდი მანძილი არ უჩანს. სათათბირომ მოიწონა სამინისტროს პროექტი ჯარში გასაწვევ ყმაწვილ კაცთა რაოდენობის შესახებ. მაშასადამე აქ სათათბირომ მთავრობის წინაშე სრული მორჩილება განაცხადა.

სადაა ის რადიკალური ენა კანონპროექტებისა, რომლითაც ხალხის წარმომადგენლებს რეაქცია უნდა დაეძლიათ? განვლილ ორი თვის განმავლობაში ეს ენა არა სჩანდა. ხალხი ამ ორი თვის განმავლობაში ვერა ჰხედავდა, რომ პარლამენტი იმის ინტერესების დამცველი ყოფილიყო წინააღმდეგ მთავრობის პოლიტიკისა. ხალხი ვერა ჰხედავდა, რომ პარლამენტს ოდნავ მაინც შეემსუბუქებინა იმისი მძიმე ტვირთი. წინააღმდეგ თავის დაპირებისა, ოპოზიციონურმა დეპუტატებმა სათათბირო განმათავისუფლებელ მოძრაობის ფოკუსად ვერ გადააქცევს. და განა საკვირველია ამის შემდეგ, რომ დროებითი შეჩერება პარლამენტის მოღვაწეობისა ხალხს არც აწუხებს და არც გულს აკლებს? ნუ თუ უკვე საკმაოდ არ დამტკიცდა, რომ კადეტებისაგან გამოგონილი საპარლამენტო დიპლომატია ხალხის გაჭირვებას მალამოდ არ გამოადგება.

### შიმშილობაა, თუ არა?

„ნეტა თუ ახალქალაქისთანა (გორის მაზრა) მშვენიერი ქვეყანა მოიპოვება სადმე!“-ო აღტაცებით შესძახა ერთმა ჩემმა თანამგზავრთაგანმა ახალგაზდა გლეხმა, როდესაც გიგუას დანჯღრეული ფაეტონი გრაკლის მოტვლეპილ მინდვრებიდან, ბაღ ვენახით შემკულ ახალ ქალაქს მიუახლოვდა. ძალზე ადიდებული და მღვრიე თეძამში გიჟივით მიექანებოდა მტკვრისაკენ, ათას ტოტად გაყოფილი გაუხედნავი მოხვევრივით აქეთ იქით ეხლებოდა ამწვანებულ თავის ნაპირებს და შეუბრალებლად ჰგლეჯდა ხავერდის მაგვარ ბალახს და მის მაგივრად რიყე-სილის სტოვებდა.

—ახალუხი შეიკარი, ძრიელ ცივა, ფილტვების ანთება მოგივა, ქვალი დაგადგება და დედა შენი კი წმინდა გიორგის მიზეზს დააბრალებს და მკითხავთან გაიქცევა!—ვუთხარ ახალგაზდას, რომლის მოკლე ახალუხი ქარისაგან აქეთ-იქით

ფრიალებდა და სუსხიანი ზენა ქარს იმის გულმკერდზე ანავარდებდა.

— „ფიქრი არ არის ბურჯისა“—ღიმილით მიპასუხა იმან და გრაკალის დუქანში არყით შეზარხოშებულმა ბაიათი შემოსძახა.

— იქაური ხარ? ახალქალაქის სკოლაში არ გისწავლია?

— როგორ არა. კურსი დავასრულე... ირონიულის ღიმილით მომიგო იმან.

— მერე გამოიტანე რამ იქიდან, მიეჩვიე კითხვას, წერა კარგად გეხერხება?

— კითხვა? ჰო, რატომა, ხანდისხან ბიბლიოთეკაში შევალ ხოლმე. წერით კი აბა რას დავწერ?! ჯერ ჯეილი ვარ და თამასუქზე ხელს ვინ მომაწერინებს. სხვა პირობების წერილზე ჯერ მამაჩემი აწერს ხელს, მერე, თუ დამჭირდება, ხელის მოწერას როგორ ვერ შევიძლებ.

— ეხლა რას აკეთებ? რა საქმეს ადგიხარ?

— ბევრს არაფერს... აი ეხლაც სადგურებზე სამუშაოს დავეძებდი, მაგრამ აი ხელცარიელი ვბრუნდები შინ. ბევრი ჩემისთანა დაეძებს სამუშაოს, მაგრამ სად არის! ათასში ერთი თუ ჩასჭიდებს ბედნიერების ჩარხს, დანარჩენნი..

— ტპრუ, ტპრუ!—შეაყენა გახურებული ცხენები მეფაიტონემ.

ხუთი ექვსი ურემი იდგა გზაზედ გაჩხირული და დაფლეთილ მაზარებში გახვეული გლეხები ფაცი ფუცით ქვიშას აყრიდნენ აქა იქ ჩახრამულ გზა-ტკეცილს. თავზედ შეიარაღებული სტრაჟნიკი ადგათ ჯიმელი.

— გზებს კიდევ გლეხები აკეთებენ?— შევეკითხე გაკვირვებით ჩემ თანამგზავრს, როცა ფაიტონი გაშორდა მეურმეებს.

— გლეხები აკეთებენ? მაშ გლეხების მეტი ვინ უნდა აკეთებდეს!—გაკვირვებითვე მიპასუხა იმან.

— აკი გზის კეთებაში ყველა წოდებას უნდა მიეღო მონაწილეობა? აკი გლეხებმა პირობა შეჰკრეს, რომ მარტო ისინი აღარ იმუშავებენ საქვეყნო საქმეზედ?

— ჰმ, პირი შეჰკრეს!—კიდევ გაიღიმა ჩემმა თანამგზავრმა.—ამ სტრაჟნიკს ხედავ: აბა ნუ გააკეთებს, ცხრა პირი ტყავი ასძვრება იმის ზურგს... და მერე დაუმატა, იცით ეგ სტრაჟნიკი ვინ არის? ეგ ის გმირია, რომელმაც ლიახვის ხეობელები გაყინულ ლიახვში ჩააყენა და მთელი დღე აძგძგა. ეგ ის იუდაა, რომელმაც დედაკაციც კი არ დაინდო და ბავშვ ჩაწვენილი აკვნით ხელში წელამდის წყალში ჩააყენა. ნეტა ქორფა, უსუსურ ბავშვს რა დანაშაული ჰქონდა? გაყინულ წყალში, იანვარში, ქორფა ბავშვი, გესმით!.. ოჰ, მაგის დღეც მოვა! მოიცადოს... იქ ანგელოზები დაუფრთხეს და ახლა აქეთ გამოგზავნეს...

— მაგისი რა ბრალია, მაგას რა ესმის, ერთი შეუგნებელი გლეხკაცია, ბრალი იმისია, ვინც მაგას მაგვარ სამარცხვინო საქმეების შესრულებას ავალებს!—ვითომ ვეცადე მე ის მძლავრი ზიზღი შემესუსტებინა, რომელიც ჩემი თანამგზავრის სიტყვებში გამოიხატებოდა.

— შეუგნებელია! მაგრამ ხომ ადამიანია, არ ესმის, რომ პატარა, ქორფა, უსუსური უმანკოა და ხელი არ უნდა ახლოს...

ამ „ქორფა, უსუსურ, უმანკო“ სიტყვებს ისეთის სინაზით და ალერსით იმეორებდა ეს თვრამეტ-ცხრამეტი წლის ბიჭი, რომ გაკვირვებით შევაშტერდი... ესეც შეუგნებელი, და გაყინულ ლიახვში თავის მოძმის ჩამყენებელიც. ნეტა თუ რამ შეჰქმნა ასეთი განსხვავება ამ ერთმანეთის მაგვარ ელემენტში... ვფიქრობდი მე.

დიდის ვაი-ვაგლახით გავედით ატბორებულ თეძამს და შევედით სოფ. ახალქალაქში. რა მშვენიერებაა ამ გაზაფხულის საღამოს ეს ბუნებით შემკული სოფელი! ამწვანებული სერები, მათ ზემოდ კიბე კიბედ შავად გაწოლილი, ჯერ მძინარე ტყით დაფარული გორები და გორებ ზემოდან თეთრის თოვლით დატვირთული ქსილისის მთა, რომლის მწვერვალი თითქმის მიბჯენილია ლაჟვარდოვან გაზაფხულის ცასთან.

აქ, ჩვენ გვერდით გზის პირად, მარჯვნივ და მარცხნივ, მოჩუხჩუხე რუეები, აქეთ-იქით აყვავებული ბაღები, ახოვანნი, უმანკო პატარძლებივით თეთრ ლეჩაქშემობურვილნი ბლის ხეები, პირის ფრად მოკაზმული ატმისა და ვაშლის აუარებელი ხეხილი, მათ ქვეშ ზურმუხტოვანი ბალახი და ზედ გაბნეული, ძვირფასის თვლებივით, ყვავილები. თვალი სტკბება და გული შეჰხარის ამ მშვენიერებას. მაგრამ, აი გაჩერდა ეტლი და გაჰქრა ბუნების ზედგავლენით აღძრული ილიუზიები... გარშემორტყმული ნანგრევები, რიყით სავსე არე-მარე, უგზო-უკვლოდ გაბნეული წყაროებით ატალახებული ეზო-ბილიკები... ფეხ-შიშველი, ჭუჭყიანი დედაკაცები, დაძონძილი ბერი-კაცნი, ტიტველა, ტალახში ამოსვრილი ბავშვები, ფერდებ შევარდნილი, მშიერი პირუტყვი და მძოვარი, აი რითი იცვლება შენ თვალში ბუნების მშვენიერი სურათი და გულ ამოსკ[illegible]ახრავ, რომ უღონო ხარ ყველ[illegible] სწორ მასწორობა გაასწორო და [illegible]ლი სულდგმული უსულო გ[illegible]ებულ ბუნებას შეუხამო.

ახალქალაქის მცხოვრები ვარ და მისი ავლადიდება კარგად ვიცი, მაგრამ გაჭირვება და შიმშილი იმის მცხოვრებთა ასე არასოდეს არ გამჩხერია თვალში. გარშემო, თითქმის გამოუკლებლად, სრული შიმშილია გამეფებული. ათის დღის გამოცხობილი, თითქმის ქვად ქცეული ჭად-პური არის ერთად ერთი საზდო აქაურებისა და, თუ აქვთ ეს ჭად-პურა უკლებლად, კიდევაც დიდ მადლობას სწირავენ გამჩენს. ლობიო, ეს ერთად ერთი თბილი საჭმლის მოსამზადებელი საკვები ქართველის გლეხისა, ათ ოჯახიდან ერთში არ მოიპოვება. ქინქრის კლერტოები, მარილ წყალში მოხარშულნი საუკეთესო და სასიამოვნო საჭმელს შეადგენს თითქმის ყველასათვის.

გაზაფხულის წვიმებით გაჟღენთილი, უსახურავო სადგური, ჭუჭყიანი დაგლეჯილი ლოგინი, ერთი ხელი მთელის ოჯახის წევრებისთვის, გაურეცხავი დაფხრეწილი და ძონძად ქცეული ტანთსაცმელი, ფეხშიშველი და მშიერი მცხოვრებნი, თითქმის ყოველთვის უსაქმურად გულხელ დაკრეფილი სდგას ამ გაზაფხულის მზეზედ და მხოლოდ იმის სითბოთი და ნუგეშობს. ძროხა, მწველელი თხა ათ ოჯახზე ერთს არ მოეპოვება და თუ გააჩნია ვისმე, ისიც სცდილობს, რომ რძე ფულად აქციოს და თავის განადგურებულ ოჯახში ერთი გირვანქა ნავთი მაინც შეიტანოს გასანათებლად. სახნავი მიწა, მუშა საქონელი, ახალქალაქელ გლეხკაცობას მოსაგონებელ ძველ ზღაპრებს და მოაგონებს. კალო გუთანი, ლეწვა, საფქვავი აქაურს მცხოვრებს სალაპარაკო ლექსიკონიდან, უეჭველია, სამუდამოდ არის ამოშლილი. „ბეგარა“, „ზეკუცია“ „ნედოიმკა“—აი ახალი სიტყვები, რომელთა მნიშვნელობა ყველას კარგადა აქვს შეგნებული.

— ქალბატონო,—მუხლებ მოწყვეტილი და ხმის კანკალით მევედრებოდა ერთი უბედური ყმაწვილი ვაჟკაცი,—ერთი მანეთით ხელი გამიმართე, კარზედ სბოქაჩიკი მადგას და დარბევას მიპირებს.

— ზაფხულში გემსახურებით და გადაგიხდით როგორმე.

— ორი შაური მასესხეთ,—თავზარ დაცემული და მოსუსტებულის ხმით მეუბნებოდა მოხუცი. მრცხვენია, მაგრამ რა ვუყო—ბალღები წივიან, ორი დღეა მეპურემ აღარ მომცა პური ნისიად.

მეზობელთან შეველ და აი რა სურათი დავინახე. დიდი ძველებური ქვიტკირის დარბაზი მუხის ხით დახურული. ერთ კუთხეში ჭუჭყიანი ფიცრების ცარიელ და განიერ ტახტზედ იჯდა ოჯახის პატრონი დედა, კალთაში უჯდა პატარა გამხდარი ბავშვი და ძუძუს აწოვებდა, მას წინ სამინდის ფქვილით სავსე თაბახი იდგა და ცალის ხელით ფქვილს ურევდა, მის გარშემო ოთხი ბალღი განუწყვეტლად ღრიალებდა. კარებთან გულხელ დაკრეფილი თვრამეტ-ცხრამეტი წლის ბიჭი იდგა და თხუთმეტი წლის თვალ ცრემლიანი გოგო ბუხარში ჩინჩხვარზედ ცომისთვის წყალს აცხელებდა. აქვე მოახლოვებით ბუხართან ნახევრად ჩანგრეულ თონეში ღობეზე აძრობილი ერთი ბლუჯა ეკალი ეყარა.

— რა ამბავია, რა გაყვირებთ?—შევეკითხე მე ბავშვებს.

— ჯანაბა ამათ თავს! გული გამომწოვეს ამ ოხრებმა, აღარ უცდიან გამოცხობას. ჭამა გვშიანო, ღრიალებენ. აბა რა უშველი, მოიცადონ, გამოვაცხო და მაშინ შეხეთქონ.

— თუ კი პური არ გედო, რატომ ადრე არ იზრუნე გამოცხობისთვის?—საყვედურით უთხარ სახლის უმცროს.

— არ ვიზრუნე გამოცხობისთვის! შე დალოცვილო, ათჯერ ჩაველ ალაფიან ფქვილის სათხოვნელად. ერთი ჩანახი რის ვაი-ვაგლახით გამოვართვი. არც ფიჩხი გვქონდა, ბიჭიც ფიჩხის საძებნელად დადიოდა.

ამგვარი სურათებია ყოველგან, თითქმის მთელ სოფელში და ქართველი გლეხი მაინც ჩუმად არის, იმას ბუნებათ აქვს ქცეული თავისი ტანჯვა თავისვე გულში ჩაიკლას. და სხვა იმის გულშემატკივარი კი არავინ არის.

ივ. გაბაშვილი.

# ახალი ამბავი

✦ **კიდევ ადელხანოვის მუშების შესახებ.** ამ რამდენისამე ხნის წინად მექარხნე ადელხანოვმა დაითხოვა 250 მუშა. მუშები წავიდ-წამოვიდნენ. ადელხანოვმა ამ დღეებშიაც დაითხოვა 106 მუშა, მაგრამ ფული არ მისცა მუშების დადგენილებისამებრ და დაავალა თავის გამგეების პატარა ქარხანაში დარჩენილ მუშებს, დათხოვნილი ამხანაგები არ შეუშვან, თორემ ქარხანა სრულიად დაიკეტებაო. ფაბრიკის პატრონი გაიძახის, მუშაობა შემცირდა და იმიტომ დავითხოვეო. 26 აპრილს მუშებმა დაკმაყოფილება მოითხოვეს და რადგან მუშები თავისუფლად შევიდნენ ქარხანაში, მექარხნემ ამ დღიდან სრულიად დაკეტა ორი ფაბრიკა ნაბდისა და ფეხსაცმელებისა. მუშების აზრით, ქარხნის პატრონს ამით უნდა გამოეწვია მუშათა შორის განხეთქილება. როგორც ვწერდით, ადელხანოვის მუშებმა ტფ. ქალაქის გამგეობას სთხოვეს, გასწიოს შუამდგომლობა მათსა და ქარხნის პატრონს შორის. ქალაქის თავმა მუშების წარმომადგენლები მიიწვია გუშინ, 27 აპრილს, და თათბირი იქონია, როგორ მოახერხოს მორიგება.

✦ **მკვლელობა.** 26 აპრილს, საღამოს 9 საათზედ, კავკასიის რკინის გზის მომხმარებელ საზოგადოების მაღაზიის გამგე ნიკოლოზ შრეიდერი სადგურის ქუჩით თავის სახლში მიდიოდა. „მარსელის“ სასტუმროსთან შრეიდერს ვიღაცამ სამჯერ რევოლვერი ესროლა და იქვე მოჰკლა. მოკლულის გვამი ლაზარეთში წაიღეს. მკვლელი გადაიმალა.

✦ **ბოქაულის და უბნის ზედამხედველის გადაყენება.** ტფ. გენ.-გუბერნატორმა თანამდებობიდან გადააყენა მეათე ნაწილის ბოქაული გურგენიძე და უბნის ზედამხედველი ნევზოროვი, რადგან მათ ვაჭრობის ნება დართეს გენ.-გუბერნატორის მიერ დაკეტილ მოვშევიჩის მეძავ სახლში.

✦ **ტფ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებანი.** სამხედრო-საოლქო სამართალში მისცეს გორის მაზრის სოფ. ავლევის მცხოვრებნი აზნ. პლატონ ტატიშვილი და თავ. მიხეილ ბაგრატიონ-დავითაშვილი. ამათ ჰბრალდებათ თავდასხმა და დაჭრა სოფ. დვანის მცხოვრების სოსებ გაბორაშვილისა. იგზავნებიან ვიატკის გუბერნიაში ხუთი წლით: სიღნაღში დაპატიმრებული ალექსი კვახარაშვილი (იგივე ბერიძე), რომელსაც ჰბრალდება თედო მთიულიშვილის რაზმში მონაწილეობა და პოლიციასთან შეტაკება, სპარსეთის ქვეშევრდომი ყული მა-

# ფელეტონი

## საფრანგეთის ცხოვრება და ლიტერატურა.

### წერილები პარიზიდან.

III *)

კიდევ კლემანსო და მისნი საქმენი საგმირონი.—მასწავლებელთა სინდიკატი.—ელექტრონის მომუშავეთა გაფიცვა.—მონტანინის ქალიშვილები.—ბერტელოს დასაფლავება.—კავკასიელთა საღამო.

წელს საფრანგეთმა დაჰკარგა თავისი სახელ-განთქმული ნაამაგარი შვილი, რომელსაც მთელი განათლებული ქვეყნიერება ჰგლოვობს. 19 მარტს, ტრაგიკულად გარდაიცვალა მეცნიერი ქიმიკოსი მარსელინ ბერტელო.*) მისი მეუღლე რამდენსამე დღეს ავად იყო და ამ დღეს 5 საათზედ გულის ტკივილისაგან გარდაიცვალა. ამ დროს ბერტელო თავის კაბინეტში მუშაობდა. როცა გაიგო უბედურება, შევიდა სანახავად. დაჰხედა თუ არა თავის გარდაცვლილ მეუღლეს, ერთბაშად დაეცა უსიტყვოდ და წამსვე სული განუტევა. ამბობენ, ამ ოთხმოცის წლის მოხუცს იმდენად უყვარდა თავისი ცოლი, რომ ვეღარ შეელია და თან გადაჰყვაო. თავის შვილისათვისაც უთქვამს თურმე: „დედა შენი თუ მოკვდა, მე ვერ ვიცოცხლებო“! ბერტელო თავისის მეუღლითურთ დასაფლავებულ იქმნა დიდებულ გვამთა განსასვენებელს პანტეონში, რომელსაც უძღვნის „დიდებულ კაცებს მადლიერი სამშობლო“, როგორც მის კედლის წარწერა გვაუწყებს. დასაფლავების მთელი ხარჯი და მოწყობა მთავრობამ იკისრა. მართლაც დიდებულ სანახაობას წარმოადგენდა ამ დღეს პანტეონი და მისი არე-მარე. აუარებელი ხალხი, სხვა და სხვა დეპუტაციები თავიანთ დროშებით, რესპუბლიკის პრეზიდენტი, მინისტრები, უცხოელი ელჩები, ურიცხვი ჯარის კაცები თავიანთ გენერლებ-აფიცრებით საცერემონიო მარშით, „მარსელიეზისა“ და „გმირული ჰიმნის“ გრიალით, მაღალ აივანზედ დასვენებული კუბო, მორთული ათასნაირის გვირგვინებით, და მის წინ ქუდ-მოხდით მდგომარე ერის წარმომადგენელნი,—ყველა ეს ახდენდა შთაბეჭდილებას დიდ-ნაციონალურ მოვლენისას, რომლის მსგავსი ვიქტორ ჰიუგოს იმავე პანტეონში დასაფლავების შემდეგ პარიზს არ უნახავს. სიტყვა წარმოსთქვა მხოლოდ საერო განათლების მინისტრმა არისტიდ ბრიანმა, რომელმაც დაახასიათა ბერტელო როგორც მეცნიერი და საზოგადო სახელმწიფო მოღვაწე.

ამ მოკლე შენიშვნაში მე ვერ ვიკისრებ, რასაკვირველია, ბერტელოს მეცნიერულ დახასიათებას. ეს სპეციალისტ-მეცნიერის საქმეა. მე მხოლოდ მოვიყვან რამდენსამე ბიოგრაფიულს ცნობას იმის ცხოვრებიდან.

მარსელინ ბერტელო დაიბადა პარიზში 25 ოქტომბერს 1827 წ. იგი იყო შვილი ცნობილ მკურნალისა, სწავლობდა პარიზის ერთს ლიცეიში და ყმაწვილობიდანვე იჩენდა ფილოსოფიურ და ქიმიურ კვლევა-ძიების უნარს. მან მიიღო კიდეც ფილოსოფიის პრემია საზოგადო კონკურსში, მაგრამ მეცნიერული გამოკვლევა თანდათან ატყვევებდა მის გონებას და ბოლოს სრულიად შეიპყრო. 1854 წ. მან მიიღო ხარისხი მეცნიერების დოქტორისა. ბერტელო 1851 წლიდან ქიმიის პროფესორად იყო College de Frauce-ში, 1859 წ. უმაღლეს ფარმაციულ სკოლის პროფესორად დაინიშნა, ხოლო 1865 წ. მსგავსივე კათედრა საკუთრად მისთვის დაარსებულ იქმნა იმავე „კოლეჟ დე-ფრანსში“, რომელიც შეინარჩუნა სიკვდილამდის. სამეცნიერო აკადემიაში 1861 წ. მან მიიღო ჟეკერის პრემია ქიმიურ ნივთიერებათა ხელოვნურ დამზადებისათვის, როგორიცაა, მაგალითად, ალკოჰოლი და სანათი გაზი. მაგრამ მისი უმთავრესი ღვაწლია ესრედ წოდებულ ორგანიულ ქიმიის გამოკვლევა და სინტეზზედ დამყარება. თავისი სამეცნიერო თეორია ბერტელომ გამოაქვეყნა განსაკუთრებით ორს თხზულებაში: „ორგანიული ქიმია სინტეზზედ დამყარებული“ და „საზოგადო მეთოდი სინტეზისა ორგანიულს ქიმიაში“. წმინდა სპეკულატიურ აზროვნებაშიც დასტოვა მან კვალი თავისის თხზულებით „მეცნიერება და ფილოსოფია“. 1900 წ. იგი არჩეულ იქმნა საფრანგეთის აკადემიის წევრად და მეორე წელსვე ფრანგ მეცნიერებმა მისი იუბილე დიდის ამბით გადაიხადეს.

ბერტელოს პოლიტიკური მოღვაწეობაც არ არის ნაკლებ საყურადღებო. 1881 წ. იგი მუდმივ სენტორად იქმნა არჩეული. 1886 წ. ლეონ ბურჟუას კაბინეტში საერო განათლების მინისტრად იყო მიწვეული და ისეთის გულ-დადებით მოახდინა სწავლა-აღზრდის საქმის რეორგანიზაცია, რომ მისი სახელი მეტად პოპულიარული გახდა. 1896 წელსაც იმავე ბურჟუას სამინისტროში მან დაიჭირა პორტფელი გარეშე საქმეთა მინისტრისა. ერნესტ რენანის ერთგული მეგობარი, ბერტელო მედგრად იცავდა თავისუფალ აზროვნებას [illegible] ეკლესიის წინააღმდეგ და თავმჯდომარეობდა „საფრანგეთის თავისუფალ მოაზრეთა ნაციონალურს კავშირს“. მხოლოდ ბერტელო ჩავარდა მეორე უკიდურესობაში. სარწმუნოებრივ დოგმატიზმის მტერმა თვითონაც ვერ აიცილა თავიდან მსგავსივე „მეცნიერული დოგმატიზმი“. იგი ხშირად მეტისმეტად აჭარბებდა მეცნიერების მნიშვნელობას და მხოლოდ ის მიაჩნდა ქვეყნის მხსნელად. ეს რომ ასე იყოს, დღეს, როდესაც მეცნიერება ასე განვითარდა, ან ხვალ, როცა იგი უფრო განვითარდება, მოსალოდნელია კაცობრიობის გაბედნიერება... და რომ ბუნების ყველა საიდუმლოების ახსნაშიაც მარტოოდენ მეცნიერება უძლურია, ამას თვით ბერტელოს უცნაური გარდაცვალება ამტკიცებს. აქ კიდევ ფართო ასპარეზი რჩება ადამიანის სხვა სულიერ მისწრაფებისათვის...

პარიზში მცხოვრები უცხოელთა კოლონიები ხშირად ჰმართავენ ხოლმე საღამოებს, სადაც აცნობენ ფრანგ საზოგადოებას თავიანთ ეროვნულ ზნე-ჩვეულებას, სიმღერას, ცეკვა-თამაშს, ჩაცმულობას. ასეთ საღამოებს ყოველთვის დიდძალი საზოგადოება ესწრება და შემოსულის ფულით ეხმარებიან ღარიბ ამხანაგებს. ეს საქმე კარგადა აქვთ მოწყობილი პატარა კოლონიებსაც, მაგალითად, ბალკანელებს, ბერძნებს, პოლონელებს. ხოლო არ იქმნა, არაფერი ეშველა კავკასიელთა კოლონიის საქმეთა მოწესრიგებას. მართალია, ამ კოლონიამ შეადგინა „კავკასიელთა კავშირი“, მაგრამ ერთ ღარიბ სამკითხველოს დაარსების მეტს არაფერში არ გამოუჩენია, წელს მაინც, თავისი მოღვაწეობა.

ამ საზოგადოებამ 10 მარტს პარიზის ერთ-ერთ უმთავრეს უბნის დიდ სალონში (ვაშინგტონ-პალასი) ჩვეულებრივი ყოველ-წლიური კავკასიელთა საღამო გამართა. საღამოს ფრანგი საზოგადოება ძალიან ნაკლებად დაესწრო, თუმცა პარიზელებზედ არ შეიძლება ითქვას, კავკასიელობა არ აინტერესებსო. ამის მიზეზია უმთავრესად ის გარემოება, რომ წინ და წინვე არ იყო ფრანგულს გაზეთებში გამოცხადებული საღამოს დანიშნულება და პროგრამა. თვით საღამომ-კი ლამაზად ჩაიარა. სუსტობდა მხოლოდ ქართული ხორო. ფარდის ახდისთანავე გამოჩნდა ჩვენებურ ტახტ-მუთაქებით და ხალიჩებით მორთული სცენა, საიდანაც კაბა-ქულაჯაში გამოწყობილმა ქალ-ვაჟთა ხორომ იმღერა ქართულად „მრავალჟამიერ“, „ფაცხა“, „ახ მეზურნე“, „ნანინა“. სომხურად იმღერეს „ზეითუნის მარში“, „ეჩმიაძინი“ და სხვ. საზოგადოებას მოეწონა ახალგაზრდა მომღერალი მუგუნიანი, რომელმაც მეტად ლამაზის ხმით იმღერა სომხური ხალხური ლექსები. ქ-ნმა ზელინსკიმ შეასრულა ფორეს „ელეგია“, ვან-გენის „შერცო“ და ანგო ბეკერის „მენუეტი“, ხოლო ბ-ნმა არაფელოვმა იმღერა ფავად სინოდალის არიოზო რუბინშტეინის ოპერა „დემონიდან“. კონცერტში მონაწილეობა მიიღო აგრეთვე ფრანგმა მომღერალმა ქალმა ჟანნა მალონძა, რომელმაც მშვენივრად შეასრულა ბიზეს „ძველი სიმღერები“ და „ვარდის არიაზო“ მასნეს ოპერა „არიანადან“. დაუკრეს ჩვენებური თარი, დაირა. დასასრულ გაიმართა ცეკვა-თამაში: ლეკური, უზუნდარა, კინტოური, ევროპიული. საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანა განსაკუთრებით ქ-ნ ელ. ან—შვილის მოხდენილმა ლეკურმა. კარგად ითამაშა ლეკური აგრეთვე შემთხვევით ჩამოსულმა პეტერბურგის არტისტ-ქალმა პეტიჰამ. მშვენიერი თამაში იყო ქ-ნი ნ. გველესიანისა, რომელსაც მუხლმოყრილმა შოთამ (კ. ანდრონიკაშვილი) „ვეფხვის ტყაოსანი“ უძღვნა. საღამოს შემოსავალი ძალიან ცოტა დარჩა და ისიც ხელთ აქვთ არა ჯერ-ჯერობით. იმ ორიოდე ფრანგს, რომელიც დაესწრო, დიდი ინტერესი აღუძრა ამ კავკასიელთა საღამომ და კარგი იქნებოდა წელიწადში ერთხელ კი არა ორჯერ და სამჯერაც გაემართათ, რადა თქმა უნდა, უფრო მოწყობილ-მომზადებულად. ჩვენებურ მხატვარ-მექანდაკეთ და ხელოვნების სხვა მოტრფიალეთ შეეძლოთ, მაგალითად, თავიანთი ნაწარმოები, ან საზოგადოდ კავკასიის ტიპებისა და ბუნების სურათებიც გამოეფინათ; აგრეთვე ჩვენებურ პოეზიის ნიმუშები, ფრანგულად თარგმნილი, დივერტისმენტში წაეკითხათ. ეს იქნება ერთი საუკეთესო საშუალებაა ჩვენის ქვეყნის უცხოელთათვის გასაცნობად.

ზ. გ—ია.

*) იხ. „ისარი“ № 89.

*) წელსვე გარდაიცვალა მეორე შესანიშნავი ქიმიკოსი, პროფესორი პარიზის უნივერსიტეტისა მუასანი, რომელმაც თავის ქიმიურ გამოკვლევათათვის მიიღო ნობელის წლევანდელი პრემია.

მედ აბდულ-ოღლი, რომელსაც იარაღი უპოვნეს; სამის წლით იგზავნებიან მ. კალიუჟნი და მ. გერაშჩენკო, რომელთაც ჰკრალდებათ ფულის ძალით დატყვევა. ტფ. საგ.-გუბერნატოროდან ეტაპით იგზავნებიან: ფიკენტი ადამია, სიმონ გოცირიძე, ლიდია ჯიბლაძე, ანასტია სტუროუა, მიხეილ სონაძე, ბეგლარ კუხიანიძე, ალექსანდრე ბაკურაძე, ნიკა შიშმეტოვი, იასონ გოგოლაძე, მ. კიშხა, გ. ჩახმახჩევი, გიზა ალი მამედ-ყული, გოროდოვოიდ ნამყოფი ი. ბორისოვი და სადილ-იახილ-ოღლი.

✦ **სროლა გორში.** გორიდან შემდეგი ამბავი მოვიდა: 26 აპრილს შუადღისას, პოლკოვნიკის სააკოვის ეზოში ვიღაც უცნობებმა რევოლვერი ესროლეს ბოქაულის თანაშემწეს გედევანიშვილს. დაიჭირეს და ციხეში ჩასვეს სამი კაცი. გედევანიშვილი უვნებელი გადარჩა.

✦ **თავის ჩამოხრჩობა.** ფოთში, ბაღში 14 აპრილს, დილის 10 საათზე, როგორც გვატყობინებენ, თავი ჩამოიხრჩო ბათუმის გიმნაზიის მეხუთე კლასიდან გამოსულმა გოგიტაძემ. მიზეზი ჩამოხრჩობისა მშობლებმაც-კი ვერ ახსნეს.

✦ **აგრარული კომისია.** 25 აპრილს სასოფლო სამეურნეო საზოგადოების დარბაზში განაგრძო სხდომა სააგრარო კომისიამ, კომისიამ მდივნად აირჩია რადზევიჩი. კომისიამ დაასრულა შემუშავება საკითხთა პროგრამისა. კომისია თანდათანობით განიხილავს საკითხებს: მიწის მოწყობის შესახებ, მიწით სარგებლობისა, მიწის სიცოტავისა, საიჯარო მიწებისა, ხიზნებისა, სანადელო მიწებისა, ტყეებისა, სათიბ-საძოვარ ადგილებისა, სარწყავი ადგილებისა და სხვათა შესახებ.

✦ **სპარსული გაზეთი.** ტფ. მცხოვრებმა სპარსელმა ქემალ ეფენდი უნსი ზადემ ნება ითხოვა გამოსცეს სპარსულ ენაზე ყოველ კვირეული გაზეთი „მაზგარ“.

✦ **პოლიციის შესანახი ფული.** ტფ. საკონტროლო პალატის თხოვნისამებრ გუბერნატორმა წინადადება მისცა ქალაქის გამგეობას, დააჩქაროს ხაზინაში შეტანა 200,000 მანეთისა, რომელიც ქალაქზე დარჩენილია, როგორც პოლიციის შესანახი ხარჯი.

✦ რედაქციამ მიიღო „ქართული წერის დედანი“, შედგენილი ალ. მირიანაშვილის მიერ და გამოცემული „ცოდნის“ მაღაზიისა. დედანი ნუსხური ან მარდი წერისთვის არის შედგენილი. გამოცემა სუფთა და კარგია. ფასი ორი აბაზი.

✦ ტფ. საურთიერთო სამეურნეო ბანკის გამგეობამ აცნობა ქალაქის გამგეობას, რომ ბანკის წარმომადგენლად ხმოსანთა არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს ვ. ს. მიქელაძე.

✦ 26 აპრილს პოლიციის მე-8 ნაწილში დააპატიმრეს მიხეილ დავარაშვილი, რომელსაც სხვა და სხვა ქურდობას აბრალებენ.

## პატარა ფელეტონი

### დიქტატორი

პეტერბურგს და პროვინციას თავზარი დასცა სენატისადმი გამოცხადებულმა ბრძანებამ, რომლის ძალითაც არეულობის საბოლოოდ მოსასპობად დანიშნულ იქმნა უმაღლესის ნდობით აღჭურვილი კრასნოგორსკის პოლკის უფროსი პოლკოვნიკი ივანოვი მე-16...

სახელმწიფო სათათბიროს სხდომა რაღაც უსიცოცხლო იყო, როდესაც ტავრიდის სასახლეს მიადგა უზენაესის ნდობით აღჭურვილის ეტლი, ყაზახთა მცირე რაზმით გარ-შემორტყმული. დიქტატორის შესვლისას დარბაზში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. მთელი მარჯვენა მხარე და ცენტრის ერთი ნაწილი ფეხზე წამოდგა, აქა-იქ მემარცხენეთა შორისაც დაიწყეს წამოდგომა ცალ-ცალკე დეპუტატებმა. ივანოვი აუჩქარებლად მივიდა ეპისკოპოზებს პლატონსა და ევლოგისთან და ლოცვა-კურთხევა მიიღო. შემდეგ მიუახლოვდა თავმჯდომარის ტრიბუნას და დაბალის ხმით ორიოდე სიტყვა წარმოსთქვა. გოლოვინი, ძალზე გაფითრებული, ზეზე წამოდგა:

— სიტყვა ეკუთვნის უზენაესის ნდობით აღჭურვილს. თავს ვაწებებ თავმჯდომარეობას და ვთხოვ ყველას ფეხზე წამოდგეს.

გოლოვინი ტრიბუნიდან ჩამოვიდა, ხოლო იმის ადგილას ავიდა დიქტატორი, ერთხანს გაჩერდა და დარბაზს თვალი გადაავლო. მემარცხენეთა შორის ათი-თხუთმეტი დეპუტატი კვლავ განაგრძობდა ჯდომას. მან იქითკენ მიაპყრო თვალნი ამ შეხედვამ კიდევ წამოაყენა უხალისოდ რამდენიმე დეპუტატი.

— ყველასა ვთხოვ ზეზე წამოდგომას!—ნელა წარმოსთქვა ივანოვმა, და ეს სიტყვები მთელს დარბაზს მოედვნენ, ისეთი სიჩუმე იყო. დიქტატორის ხმაში ისმოდა მომავალი ქარტეხილი.—უმაღლეს ბრძანებით მეორე სახელმწიფო სათათბიროს დახურულად ვაცხადებ.

დარბაზი თითქოს გაქვავდაო...

* *

ვიცი, მკითხველო, ამ სიტყვების წაკითხვაზე გული გეტკინება; ვიცი, უნუგეშოდ გააქნევ თავსა, და ეს არც გასაკვირველი იქნება: მართალია, სათათბირომ მთლად ვერ გაამართლა შენი მოლოდინი, მაგრამ მაინც რაღაც სიმპატიასა ჰგრძნობდი მისდამი, რაღაც იმედი გქონდა, და ახლა-კი... ახლა... იგი დათხოვნილია!

მაგრამ ესეც არ არის მართალი. ნუ გგონია, რომ ზემო-მოყვანილი ცნობები დიქტატორის დანიშნვის და სახელმწიფო სათათბიროს დათხოვნის შესახებ დეპეშათა სააგენტომ გადმოგვცა. არა, უნდა გამოგიტყდე, რომ ეს ცნობა ფაქტი არ გახლავთ, არამედ მარტო ოცნება, დიაღ, ოცნება, მაგრამ ჩემი კი არა, არამედ ვიღაც ლევ სემიონოვისა (ფსევდონიმია), რომელმაც ამ დღეებში დაბეჭდა ქ. მოსკოვში წიგნაკი „დიქტატორი“. ეს წიგნაკი მეტად საინტერესოა, როგორც მაჩვენებელი შავ-რაზმელთა პოლიტიკურ იდეალებისა. ეს იდეალები კი გახლავან: სახელმწიფო სათათბიროს დათხოვნა და ხელ-ახლა შეუზღუდავ თვით-მპყრობელობის აღდგენა (თუმცა, ვგონებ, ფაქტიურად იგი არასოდეს არ გაუქმებულა), ხელ-ახლა „როზგის“ შემოღება, უნივერსიტეტების ავტონომიის გაუქმება, ებრაელების და, საზოგადოდ, ყველა „ინოროდცების“ მიწასთან გასწორება და სხვა და სხვა. ყველა ამ „რეფორმის“ განსახორციელებლად საჭიროა უპირველეს ყოვლისა შეუზღუდავ უფლებებით აღჭურვილ დიქტატორის დანიშვნა. ასეთია მოკლე პოლიტიკური გეგმა ბ-ნ სემიონოვისა ანუ შარაპოვისა (ცნობილი შავ რაზმელია), რომელსაც ხსენებულ ბროშიურის ავტორად ასახელებენ, თუმცა იგი გადაჭრით უარჰყოფს თავისს ავტორობას.

ასე თუ ისე, ბროშიურა ჩინებული გამომხატველია შავ-რაზმელთა „იდეოლოგების“ პოლიტიკურ აზროვნებისა და ამ მხრივ დიდს ინტერესს წარმოადგენს.

**გრაკხი.**

## პრესსა

გაზეთი „ლახვარი“ ანგარიშს სწერს სათათბიროს ორი თვის მოღვაწეობაზე საერთოდ და კერძოდ სოციალდემოკრატიულ ფრაქციაზე. როგორც ყოველთვის, „ლახვარის“ პუბლიცისტებს არც ეხლა ავიწყდებით ჩვენ და გზა და გზა ირონიით აღნიშნავენ, რომ ჩვენი გაზეთი სადემონსტრაციო ტაქტიკას ყოველთვის ჰგმობდა. ამ უსაბუთო და უნიადაგო ირონიაზე რა მოგახსენოთ, მაგრამ „ლახვრის“ პუბლიცისტებს, რომ თვითონ მეტად ყალბი წარმოდგენა აქვთ იმ ტაქტიკაზე, რომელსაც სოც.-დემოკრატია აწარმოვებდა სათათბიროში, ამას კი ეხლავე გამოვარკვევთ.

ამ ტაქტიკას „ლახვარი“ ასე ახასიათებს:

**ხალხის მასსის დაინტერესება, დუმის მოღვაწეობაში, მისი ყურადღების მოპყრობა პოლიტიკურ კითხვებისაკენ ხალხის ჩათრევა პოლიტიკაში, მისი ინიციატივის გამოწვევა, ხალხის შეკავშირება დუმის გარშემო** *) იმ მიზნით, რომ მან თავის რევოლიუციონურ ძალდატანებით დუმა მარცხნივ დააქანოს. დუმას მიაღებინოს ხალხისათვის სასარგებლო მიმართულება.—აი ის დაფარული აზრი, რომელიც ნათლად გამოსჭვივის სოც.-დ. ფრაქციის ყოველ მოქმედებაში, ყოველ სიტყვაში. ამ დედა-აზრის განსახორციელებლად სოც.-დ ფრაქცია სცდილობს, რაც შეიძლება სავსებით, რაც შეიძლება მკაფიოდ გამოათქმევინოს თავისი მისწრაფებანი და ლტოლვილებანი დუმის ყოველ ჯგუფს, რომ ხალხმა რაც შეიძლება ნათლად დაინახოს ყოველ ჯგუფის სახე, რომ ხალხმა შესძლოს სისწორით გამოარკვიოს, რომელი ჯგუფი რომელ კლასის ინტერესებს ემსახურება“.

*) კურსივი «ლახვრისაა».

საკმარისია, ოდნავ ჩაუფიქრდეთ ამ ფრაზების ლექსას და ჰნახავთ, რომ აქ სოციალდემოკრატიის არც ერთი დამახასიათებელი თვისება არაა აღნიშნული. ხალხის დაინტერესება სათათბიროს მუშაობით—მთელი ოპოზიციის სურვილია, ხალხის ორგანიზაცია სათათბიროს გარშემო—ეს ყველა მემარცხენე პარტიის ნიშნობლივი თვისებაა. სათათბიროს მარცხნივ დაქანება გარედან სარევოლიუციო იძულების გავლენით და მისგან ხალხისთვის სასარგებლო მიმართულების მიღება—ესეც ყველა მემარცხენე პარტიებს ახასიათებს და არა განსაკუთრებით სოციალ-დემოკრატიას; შემდეგ „ლახვარი“ გვასწავლის, რომ სოციალ დემოკრატია სცდილობს ყოველს ჯგუფს მკაფიოდ გამოათქმევინოს თავისი მისწრაფებაო—მაგრამ „ლახვრის“ პუბლიცისტების მეტმა მთელმა ქვეყანამ იცის, რომ ყველა ჯგუფი სათათბიროში თითონვე სცდილობს თავისი აზრის და მისწრაფების კაფიოდ გამოთქმას.

ასე ღრმად ესმით და ასე კაფიოდ ახასიათებენ სოციალ-დემოკრატიას „ლახვრის“ პუბლიცისტები. მაგრამ ამ უკანასკნელთა უკბილო ლექვა რომ უფრო ნათელ ვყოთ, მოვიყვანთ აქვე იმ სიტყვებს, რომლებითაც სოციალ-დემოკრატიულ ტაქტიკას ახასიათებს თვით ამ პარტიის ცენტრალური კომიტეტი. ეს დახასიათება მოთავსებულია კომიტეტის მესამე წერილში და სატახტო ქალაქის გაზეთებშია დაბეჭდილი. იქ ჩვენ ვკითხულობთ:

„როგორც ბიუჯეტის, აგრეთვე სხვა საკითხებში ორი მიმართულება არსებობს ფრაქციაში, უმცირესობა (მეუმრავლესენი) საჭიროდ სცნობდნენ, ბიუჯეტის უარყოფა დასაბუთებულ ყოფილიყო კლასსიურ თვალთა ხედვით და მიხედვით და მიღებულ ყოფილიყო სოციალისტური კლასსიური ხასიათის რეზოლიუცია.

უმრავლესობა კი (მეუმცირესენი) ამტკიცებდნენ, სოც.-დემოკრატიის დანიშნულება სათათბიროში ამ ჟამად ის კი არაა, რომ იგი სოციალისტურ ფრაზებს და ლოზუნგებს ისროდეს, არამედ ის, რომ მთელის თავის ყოფა ქცევით გამოაჩინოს ბიუჯეტის კონკრეტულ საკითხზე, როგორ ესმის თავისი დემოკრატიული მისწრაფება სოციალ-დემოკრატიას, რომელიც ამასთანავე კლასსიურ ნიადაგზე სდგასო“.

ვერ ვიტყვით, რომ ამ დახასიათებას მაინც და მაინც ძლიერ მოელვარე ფერი ჰქონდეს, მაგრამ „ლახვრის“ პუბლიცისტების დახასიათებას კი სულ არაფერში არ წააგავს. აქ ხაზ გასმულია, განსახილველ საგნების კონკრეტულ ფარგალში დემოკრატების გამოჩენა სოციალ-დემოკრატებისაგან. „ლახვარი“ კი გვეუბნება, სოციალ-დემოკრატებმა სხვებს უნდა გამოაჩენინონ თავისი მისწრაფებაო. მაგრამ ჩვენს სოციალ-დემოკრატებს რომ თავის პეტერბურგელ ამხანაგებისაც ბევრი არაფერი გაეგებათ, ეს მათ წინადაც არა ერთხელ დაუმტკიცებიათ და შემდეგშიაც ალბად ხშირად დაამტკიცებენ.

## პროვინციის ცხოვრება

**ფოთი** ხშირად მეუბნებიან ზოგიერთი ჩემი ამხანაგები საყვედურს, რისთვის იცი ხანდისხან მწვავე სიტყვით ხსენება მოწინამძღვეებისაო. ეს მართალიც არის. მაგრამ რას იზამს ადამიანი, როდესაც ჰხედავს მათ უკუღმართობას. გული უკვდება ადამიანს, როცა კითხულობს ბათუმის მუშების ინცინდენტს. როდესაც დასავლეთ საქართველოში პირველად გაისმა თავისუფლება, ძმობა და ერთობა, იმ ხნიდან მოკიდებული დღემდე ხელი-ხელ ჩაკიდებული მუშები, ეს კაცობრიობის სიამაყე, ერთად მოქმედობდნენ. დღეს კი რას ვხედავთ! ვხედავთ იმას, რომ ერთმანეთს დაუწყეს ხოცვა-ჟლეტა. ნეტავი რამ გამოიწვია ეს გულ-საკლავი ამბავი? ამის გამოკვლევა, ვფიქრობ, ადრე არ მოხერხდება და ისევ სჯობს ფოთის ამბავს დაუბრუნდე.

ფოთშიაც მოელოდნენ, რომ „სევერნოე“ საზოგადოება როგორც ბათუმში, აქაც გამოიწვევდა მუშების შეტაკებას. იქნება აქაც მომხდარიყო ეს ამბავი, რომ მამაცად და ჭკუა გონებით არ დახვედროდა ს.-ფედერალისტთა პარტია. ამ საზოგადოებაზე და მეორეზე („იუჟნოე“ საზოგადოება) უნდა დამდგარიყო სამუშაოდ 300 მუშა, რომელნიც ს.-დემოკრატებისაგან გარიყულნი იყვნენ. მაგრამ ს.-ფედერალისტების მეთაურებმა ისე განსაზღვრეს მუშაობა, რომ არავინ გულ-ნატკენი არ დარჩენილა. მიიღეს ყველა ტომის მუშა: თათარი, სომეხი და ქართველი. 9 აპრილს მოვიდა გემი. იმას მიუჩინეს 200 მუშა, მეორეს კი—100 მუშა. ასე და ამ რიგად მოეწყო ჯერ-ჯერობით უმუშევართა საქმე ფოთში.

ამ წერილში სრულიადაც არ მინდოდა და არც სასურველი იყო ს.-დემოკრატების ხსენება, მაგრამ ერთი ისეთი ორჭოფული სიყალბე ჩაიდინეს, რომ არ შემიძლია არ ვამცნო მკითხველებს არა იმისათვის, რომ მე პირადად წინააღმდეგი ვარ მათის პროგრამისა, არამედ გაიგონ, ვინა ბრძანდებიან ფოთელი ს.-დემოკრატები. როდესაც 9 აპრილს საღამოს გემი მოვიდა და მეორე დღეს დილას უნდა დაეწყოთ მუშაობა, ისეთი საზიზღარი ფურცლები გამოსცეს, რომ არა მგონია რომელმამე ხორც-შესხმულმა ადამიანმა მოიწონოს, გარდა ზოგიერთ ფანატიკოს ს.-დემოკრატისა. ამ პროვოკაციას ადგილობრივ დირსეული პასუხს გასცემენ, მაგრამ ვალდებულად ვრაცხ ჩემს თავს ნამდვილი დედანი გაზეთის ფურცელზე მოვიყვანო. აბა კარგად დააკვირდი, მკითხველო. ფურცელი გამოსულია ამ სათაურით: „უმუშევარ მუშებს“.

ამხანაგებო! ექვსი თვე იქნება, რაც ზოგიერთი ვაჟბატონები თავიანთი ქვენა აზრების დასაკმაყოფილებლათ გაცხარებული ეწეოდნენ აგიტაციას: „სევერნოე ობშჩესტვო“ იხსნება, მუშა აუარაბელია საჭირო, მოდით ჩვენთან, ვისაც გშიათ და ჩვენ გაგაძღობთო. მათმა გარყვნილმა აგიტაციამ გასჭრა, 50 კაცის მაგიერ, რომელიც ძლივს იქნება საჭირო სამუშაოს გახსნის დროს შეიძლება თავი მოიყაროს რამდენიმე ათასმა კაცმა. შეტაკება მუშებს შორის მოსალოდნელია. პროვოკაცია საწადელს აღწევს. ბნელი ძალები ფრთებს ისხამს, თქვენ კარგათ იცით ვინც ბრძანდებიან ეს სვინდისსზე ხელ-აღებული ვაჟბატონები. ეს ის „მოღვაწეები“ იმის არიან, რომლებმაც ერა ერთხელა უმუშავებიათ ფოთში თავიანთი პროვოკატორული მაშინა ეს ის პირები არიან, რომლებიც დღიან ღამიანა ცდაში არიან, რომ როგორმე მუშა მუშას დაატაკოს. აი მიზანი, რომელითაც ხელმძღვანელობდნენ ეს ბნელი პირები, როცა ისინი რამდენიმე თვის განმავლობაში მთელი ქუთაის გუბერნიაში დაწრიალებდნენ და გატყუებდნენ სამუშაოს გიშოვნითო.

ერიდეთ, ამხანაგეაო ამ საეჭვო პირებს, ნუ აყვებით მათ პროვოკაციას! ნუ გახდებით იარაღათ იმ გირყვნილი ადამიანებისა, რომლებსაც ასე სწყურიათ თქვენს შორის სისხლის ღვრა. გაიგეთ რომ „სევერნი ობშჩეს.“ ვერ შეძლებია დაკმაყოფილება, ყველა იმ მუშებისა, საიდანაც ათ-ათი შაურის მოგროვება კი შეიძლებოდა. „მიაფურთხეთ ეშმაკს“. გამოეთხოვეთ თქვენს ათ შაურს, რომლითაც უნდათ თქვენს მტერს თქვენი სისხლი დაღვაროს. თავიდან აიშორეთ ის მარცხი, რომელიც თქვენმა მოსისხლე მტრებმა ექვსი თვის დაუღალავი აგიტაციით თქვენ მოგიმზადათ! ძირს პრავაკაცია! გაუმარჯოს მუშების სოლიდარობას! ფოთის ორგან. რ. ს. დ. მ. პ.

აი, რას ეუბნებიან იმ უმუშევარ მუშებს, რომელთაც 25 მარტს კრებაზე თავიანთ ბიუროს არჩევის ნება არ მისცეს. ამის შემდეგ ფოთის ს.-დემოკრატების მოქმედების განსჯა-განკითხვა მკითხველისთვის მიმინდვია.

**მეხი.**

**ქიზიყი.** ამ მოკლე ხანში ქიზიყში შემდეგი ამბები მოხდა. მოჰკლეს სოფელ ჯუგაანში მცხოვრები ვანო საბას ძე ჩითინაშვილი მინდვრად უკანა მხარში, როდესაც იგი ცხვარს ბალახს აძოვებდა. იმის მოკვლას მახლობელ ნათესავს აბრალებენ. მიზეზი შურის-ძიებაო.

18-ს აპრილს მოკლეს ს. ზემო-მაჩხაანის მცხოვრები დათიკო ბოსტაშვილი, მგელ-კაცად წოდებული, სიღნაღის ახლო ს. ქედლის წყვერთან. დათიკო ბოსტაშვილი წინად ორი სამი ყაჩაღობა ყოფილა მამასახლისად და მგონი ხულიგანობას სწამებდნენ. დათიკო რევოლვერით მოჰკლეს. მკვლელი მიიმალა. წინაშე ამ ადგილასვე მოჰკლეს ს. ბოდბის ხევში მცხოვრები ფილიმონ ტუხაშვილი.

წინა დღეს აგრეთვე თავის სახლში ყელი გამოსჭრეს ს. ზემო-მაჩხაანის მცხოვრებს იაკობიანების დედა-კაცს.

ცხენები დაჰპარეს ს. ვაქირში მცხოვრებს ნარეკლიშვილს, ჯუგაანურს მირზა მირზოევს და ზემო მაჩხაანში მცხოვრებს მღ. იაგორ რობიტაშვილს.

გაძარცვის მაგალითებიც იყო.

დაიტაცეს საქობოლდების დიდ-ძალი საქონელი. ეჭვი სოფელ ოზაანელებზე მიიტანეს და მალე ერთი ოზაანელიც შეიპყრეს. მაგრამ რომელი ერთი მოვთვალო. ამ ხელად ესეც კმარა.

ვენახის წამლობის ვადა მოვიდა, კვირტი ერთი გოჯამდისა აქვს გამოსული, მაგრამ საკმაო შაბიამანი ჯერ-ჯერობით არსადა სჩანს. იქნება შარშანდელივით კერძო მოვაჭრეთა კლანჭებში ჩავცვივდეთ და მამასახლისად მოგვიხდეს შაბიამანის ყიდვა?! კარგი იქნება სამეურნეო საზოგადოებამ ქიზიყსაც წყალობის თვალით გადმოხედოს და წელსაც შაბიამნის საწყობი გახსნას.

ამას წინად ქ. სიღნაღის მომრიგებელმა შუამავალმა ა. ჯორჯაძემ თითქმის ქიზიყის ყველა სოფლის საზოგადოებას წინადადება მისცა ეშუამდგომლნათ, ვისთანაც ჯერ არს, რომ მათ სასოფლო სამეურნეო თანხიდან სესხად ფული მისცემოდათ შაბიამანისა და გოგირდის საყიდად. თვითონ ა. ჯორჯაძე ამ საქმეში დიდ დახმარებას ჰპირდებოდა მათ. მაგრამ ქიზიყის მცხოვრებთა უმრავლესობამ ამაზე უარი განაცხადა. სამეურნეო თანხიდან ფული რომ ვისესხოთ—შემდეგ მაგ ფულს ისეთ მეკომურთ გადაახდევინებენ, რომელნიც სრულებით არ ისარგებლებენ სასოფლო-სამეურნეო თანხიდან გამოტანილ ფულით, საყიდ გოგირდ-შაბიამანითაო.

არ შემიძლიან ორიოდე სიტყვა არა ვთქვა ქიზიყში მეაბრეშუმეობის შესახებ. ქიზიყელნი ძველადგანვე მისდევდნენ მეაბრეშუმეობას, მაგრამ ამ შვიდ რვა წლის განმავლობაში უფრო ხალისიანად ეკიდებოდნენ ამ დარგს მეურნეობისას და საკმაო პარკიც მოდიოდა, ასე რომ ხელ-მოკლე ოჯახი ხელს ინაცვლებდა გაყიდულის პარკის ფულით. ამ ხნის განმავლობაში ჭიის თესლს ზოგები არიგებდნენ. თუმცა ხშირად უვარგისი თესლი გამოდგებოდა ხოლმე, მაინც ქიზიყელნი გულს არ იტეხდნენ და ყოველ წელს მოჰყავდათ პარკი. წელს კი საქმე სულ სხვანაირად დატრიალდა. ეგონათ თავის დროზე ზოგები მოვლენ და თესლს მოიტანენო,—იმათის იმედით აღარ გამოიწერეს ტფილისიდან ჭიის თესლი, ან ვის შეუძლიან იქიდან გამოწერა? აი დღემდის არ მოსულან ზოგები, დროც გადასულია. ასე რომ ქიზიყელნი წელს უჭიოდ დარჩნენ სხვის შემყურე. სოფელში ორი-სამი კომლი არ მოიძებნება, რომ ტფილისიდან გამოწერილი თესლი ჰქონდეს.

წელს ჩვენში ცხვარი ძლიერ დაზარალდა, ამიტომ ბატკნის სიძვირეა... *X.*

**ოზურგეთი.** ოც აპრილს ქ. ოზურგეთი და ახლო-მახლო სოფლები შიშის ზარმა მოიცვა. ამ დღეს საღამოს ხუთ საათზე განთქმულ მიტრო მგელაძეს სამჯერ ესროლეს. საქმე ამ რიგად მომხდარა. იქ, სადაც ჩვეულებრივ ხალხი იკრიბება პარასკეობით, დიდ ძალი ხალხი მოგროვილა სააღდგომო სანოვაგის გასასყიდ-სასყიდლად. აი, ამ დროს უსროლია ვიღაც ახალგაზდას და სამი ტყვია მიურტყამს—ორი მარჯვენა ბეჭში და ერთი წელში. ამტყდარა ერთი ალიაქოთი. ხალხმა აღარ იცოდა, რა ექნა. სოფლელებს გასასყიდი სანოვაგე უპატრონოდ დაეტოვებინათ და გაქცეულიყვნენ. მთელი პოლიცია ფეხზე დამდგარიყო, მაგრამ მსროლელის გზა და კვალი ვერ გაიგეს. ნაცვლად მკვლელისა, უდანაშაულო პირებს დაუწყეს ცემა-ტყეპა. ახლო-მახლო მდებარე დუქნები, რიცხვით ოცამდე, მაშინვე დაკეტეს და დაატუსაღეს მათი პატრონები. მათ შორის ბავშვებიც ურევიან. მეორე დღეს დახურეს ყველა სამიკიტნო, ახალ კვირის ორშაბათამდი. აღარავის ინდობენ. ჩვენებური ბიუროკრატები კბილებს აკრაჭუნებდნენ. ეს ვაჟბატონები ძალზე სასტიკად ეპყრობიან ხალხს. მგელაძე, როგორც ამბობენ, სიკვდილს გადურჩებაო.

**აქაური.**

## დეპეშა

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

27 აპრილი.

**სევასტოპოლი.** ქალაქიდან ხუთ ვერსზე დერკაჩევის ხუტორში შანტაჟისტების ბრბო მივიდა. ერთს ბოქაულის ტანისამოსი ეცვა, მეორეს ურიადნიკისა, მესამეს უბნის ზედამხედველისა და რამდენიმეს უბრალო პოლიციელისა. ისინი ვითომ ხუტორის გასაჩხრეკად მოვიდნენ, იქ მყოფ 17 თათარს 2500 მანეთი გამოართვეს და მიიმალნენ.

**კოვნო.** 24 აპრილს საღამოზე ვაჭარს ვაინერმანს სახლში 10 შეიარაღებული კაცი შეუვარდა. ვაინერმანი იატაკზე წააქციეს, ჯიბიდან გასაღები ამოუღეს, კასსა გააღეს, 50,000 მანეთის ფასიანი ქაღალდები და 1800 მანეთი ნაღდი ფული ამოიღეს, მაგიდაზე ასაფეთქებელი მასალით სავსე თუნუქის კოლოფი დასდეს და მიიმალნენ. ვეინერმანი მსუბუქად დაიჭრა.

**ყაზანი.** ნაგორნი ქუჩაზე პოლენოვის სახლში დააპატიმრეს 10 კაცისაგან შემდგარი მძარცავთა ბრბო, რომელთაც ათანასიევის მაღაზია გაძარცვეს. იპოვნეს ბევრი იარაღი და ფორმის ტანისამოსი

პოლიციის ჩასაცვამიდან მოყოლებული გენერლის ტანსაცმელამდე.

**ლონდონი**. საზოგადოებათა პალატაში ინდოეთში მომხდარ არეულობების გამო შეკითხვაზე სტატს სეკრეტარმა მორლეიმ სთქვა, რომ ინდოეთის მთავრობას აუცილებელ საჭიროდ მიაჩნდა ჩრდილოეთ ინდოეთში დაწყებულ არეულობის ჩასაქრობად მხნე ზომები მიიღოს. ამიტომ ორი უმთავრესი აგიტატორი დააპატიმრეს და პენჯაბოდან გააძევეს.

**მონტევიდეო**. გემი «პეტონის» დაღუპვის დროს ზოგიერთი მგზავრი შიშით წყალში გადავარდა და დაიღუპა. უბედურობის ადგილზე საშველად რამდენიმე გემი მივიდა, მაგრამ ის ადგილი ძლიერ საშიშოა, რაც მუშაობას მეტად აფერხებს.

**ლონდონი**. 25 აპრილს გრაფიჩში მოსულ 22 რუს სოც.-დემოკრატს ორი რუსი მოეგება და სადგურამდე მიაცილა. ს.-დემოკრატებმა მატარებლის გასვლამდე საათ ნახევრით ადრე დაიჭირეს თავთავიანთი ადგილები ვაგონში, კარები დაჭკეტეს, ფარდები ჩამოუშვეს და ჟურნალისტებთან მუსაიფზე უარი განაცხადეს. დღეს გრავიჩში დანარჩენ ს.-დემოკრატებსაც მოელიან.

**ბაქო**. თითქმის ყველა შხუნაზე მუშაობა განახლდა. ამ დღეებში ალბად ყველანი გავლენ. ბირჟაც ცოტა გამოცოცხლდა.

**მინსკი**. 26 აპრილს საღამოთი საპატიმროში სამმა ტუსაღმა კამერიდან ცოტა ხნით გასვლა ითხოვა; როცა კორიდორში გამოვიდნენ, მორიგე მეთვალყურეს დაეცნენ, 8 ალაგას დასჭრეს დანით, გასაღები წაართვეს და ცალკე ოთახში მჯდომ ანარქისტის კაცევსკის ოთახი გააღეს და კაცევსკი მოჰკლეს.

**ლოძი**. 25 აპრილს დამე ტუშინსკის გზატკეცილზე მიმავალ მგზავრებით სავსე ურემს 10 შეიარაღებული კაცი დაეცა. ერთი მგზავრი მოჰკლეს; ერთი თავდამსხმელი დააპატიმრეს.

**ჩერკასი**. ქალაქის ახლო ტყეში დარაჯებმა დასჭრეს 10 მძარცავი, რომელნიც გრაფ ბობრინსკის ეკონომიას თავს დაესხნენ.

**ეკატერინოსლავი**. პრიჩელოვკაში 26 აპრილს, საღამოს 10 საათზე, რევოლვერით მოჰკლეს უბნის ზედამხედველი. მსროლელი მიიმალა.—დნეპრის მარჯვენა ნაპირზე გაშენებული სოფლები დიევკა, ტარომსკაია, სუხაჩევკა, ვასილიევო თითქმის წყლით დაიფარა. წყალმა 14⁵/₈ არშინი მოიმატა.

**მინსკი**. «რუსის განაპირა ქვეყნის კავშირმა» რუს მცხოვრებლებს მოწოდებით მიმართა. კავშირი ყველას მოუწოდებს შეერთდნენ. კავშირის მიზანია ბელორუსებში განაღვიძოს ნაციონალური თვითშეგნება, ხელი შეუწყოს ნაციონალურ ინტერესების აღდგენას და მოაწყოს ეკონომიურად თვით დახმარების ორგანიზაცია.

**ჰამბურგი**. საღამოზე 180 რუსი სოც.-დემოკრატი ინგლისისაკენ გაემგზავრა.

**პეტერბურგი**. გზათა მინისტრმა მინისტრთა საბჭოში მოხსენება შეიტანა კომისიის დანიშვნის შესახებ. კომისიამ უნდა შეიმუშაოს ძირითადი წესები იმ პირობებისა, რა პირობებითაც შეიძლება ნება რთვა მიეცეთ მსურველთ საავტომობილო მიმოსვლის მოსაწყობად გზადკეცილებზე.

საერო განათლების მინისტრმა ითხოვა, დაარსდეს პეტერბურგში კერძო ხარჯზე ფსიხო-ნევროლოგიური ინსტიტუტი, რომლის სასარგებლოდაც 50,000 უკვე შეკრებილია.

დღეს იამსკის ქუჩაზე ვიღაც უცნობი დააპატიმრეს, რომელიც თავისს თავს გრიბოვსკის უწოდებს. იქვე დააპატიმრეს მეორე კაცი, რომელიც გრიბოვსკისთან სტუმრად მივიდა. ჩვენების ჩამორთმევის დროს აღმოჩნდა, რომ გრიბოვსკის, მასთან მცხოვრებ ქალს და მეორე დაპატიმრებულს ბევრ მარცვა-თავდასხმაში მონაწილეობა მიუღიათ. იმათ პეტერბურგში ხუთ ალაგას ჰქონიათ ბინა. კავალერგარდსკის ქუჩაზე მესამე მათი ამხანაგიც დაიჭირეს. უპოვნეს სამი გატენილი ყუმბარა, ქქვსი ყუმბარის ბუდე, პიროქსილინი, პატრონები. მათ სადგომში მჩერბაკოვის ქუჩაზე, აღმოაჩინეს კიდევ რამდენიმე ყუმბარა. კიდევ ჩხრეკავენ.

ბახმუტის და მარიუპოლის მაზრებში სამხედრო წესის საგანგებო დაცვის წესად შესცვალეს.

**მოსკოვი**. 26 აპრილს «რუსის ხალხის კავშირის» სრულიად რუსეთის კრების გახსნისა გამო კავშირმა სარწმუნოებრივი პროცესია გამართა: დაესწრნენ სახ. სათათბიროს წევრნი—კრუშევანი და პურიშკევიჩი და აგრეთვე მღ. მონოზანი ილიოდორე. პროცესიას წინ ხატ-ჯვარები მიუძღოდა. ჯერ უსპენსკის საკრებულო ტაძრისაკენ გაემართნენ, სადაც მოსკოვის მიტროპოლიტმა სადღესასწაულო წირვა გადაიხადა. შემდეგ აკურთხეს მონარქიული პარტიების მიერ შეძენილი ღვთის-მშობლის ხატი. წინადღითვე საკრ. ტაძარში მოიტანეს მონარქიულ პარტიის 190 დროშა. ტაძრიდან პროცესია მოსკოვის ქუჩებს აჰყვა და წითელ მოედანზე გავიდა. იქ მინინის და პოჟარსკის ძეგლთან ლიტია გადაიხადა და «საუკუნოდ იყოს ხსენება» იგალობა. ივერიის ღვთის-მშობლის სამლოცველოსთან პარაკლისი გადაიხადეს. როცა პროცესსია მიუახლოვდა გენერალ-გუბერნატორის სახლს, გენერალ-გუბერნატორი მოაჯირზე გადმოდგა და «მრავალ ჟამიერ ხელმწიფე იმპერატორსაო» დაიძახა. ხალმაც აღტაცებული ყვირილი დაიწყო. შემდეგ პროცესია უკანვე, საარქიო სახლისაკენ გაემართა.

ნოვო-ანდრონიკოვსკის ნაწილში 5 უცნობი თავს დაესხა მოსკოვის არტელის მეარტელეს კუზმინს, რომელსაც მეეტლე და ჟანდარმი ახლდა. მეეტლე მოჰკლეს, ჟანდარმი დასჭრეს და მეარტელე მძიმედ დასჭრეს. მეარტელე ჩქარა გარდაიცვალა. ფული თან არა ჰქონოდა.

**კიევი**, აფიცერთა საეკონომიო საზოგადოების მაღაზიის დერეფანში ორი უცნობი შევიდა. იქ მდგომ აფიცერ-ხაზინადარს მაგრა თავში ჩაარტყეს, გააბრუეს, გამოსტაცეს ფულის ყუთი, რომელშიაც მანეთი 12,000 იყო და მიიმალნენ. აფიცერმა ესროლა, მაგრამ ააცდინა.

**ლოძი**. 27 აპრილს დილიდანვე პოზნანსკის მანუფაქტურის ყველა ნაწილი მუშაობას შეუდგება. ამ მანუფაქტურაში 6,600 მუშაა.

რედაქტორ-გამომცემელი
**ივ. ი. მჭედლიშვილი.**

# განცხადებანი

**ფოთის ქალაქის**

## გამგეობა

ამით აცხადებს, რომ 1907 წლის 29 მაისს, შუადღის 12 საათისთვის, გამგეობის თანადასწრებით, დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ქვემოდ დასახელებულ პირთა მამულებისა სახელმწიფო და საერობო გადასახადების ნედოიმკების შესავსებად:

1. თურქია ლაზარე დავითის ძე: დაგეგმილი ნაჭერი მიწისა, მდებარე ქალ. ფოთის მე-13 კვარტალში, № 115, ზომით 992,8 ოთხ-კუთხი საჟ. ნედოიმკის რაოდენობა 30 მან. 41 კ.

2. ბერნატოვიჩი მათე ეფრემის ძე: დაგეგმილი ნაჭერი მიწისა, მდებარე ქალ. ფოთის 21 კვარ., № 203, ზავოდსკის ქუჩ., ზომით 200 ოთხკუთხი საჟ. ნედოიმკის რაოდენობა 3 მან. 23 კ.

3. ხრელიჩი კაზიმირ ოსიპის ძე: დაგეგმილი ნაჭერი მიწისა, მდებარე ქალ. ფოთის მე-69 კვარ., № 678, ციციანოვის ქუჩაზე, ზომით 420 ოთხ-კუთხი საჟ. ნედოიმკა 2 მ. 78 კ.

4. ანდრია დუბინინის მემკვიდრენი: დაგეგმილი ნაჭერი მიწისა, მდებარე ფოთის მე-14 კვ., № 124, როზენის ქ., ზომით 652,5 ოთხკ. საჟ. ნედოიმკა 2 მ. 54 კ.

5. დიმიტრი სმირნოვის მემკვიდრენი: ცარიელი ნაჭერი მიწისა, №№ 113 და 114, მორსკოის ქ. და ლევაშოვის სანაპიროზე, ზომით 520 ოთხკ. საჟ. ნედოიმკა 45 მ. 69 კ.

6. ბარბარე ერისთავისა: ნაჭერი მიწისა, № 143, ლაზარევის ქ., ზომით 400 ოთხკ. საჟ. ნედოიმკა 7 მ. 34.

7. ბოჭორიშვილი ანტონ: ცარიელი ნაჭერი მიწისა, № 700, ბებუთოვის და კოლხიდის ქუჩების კუთხეში. ზომით 390 ოთხკ. საჟ. ნედოიმკა 1 მ. 52 კ.

8. აბრამ და ისკაკ მიხაილიშვილის მემკვიდრენი: ცარიელი ნაჭერი მიწისა, № 805, მდებარე ფოთის მე 81 კვ. მილიუტინის ქ. ზომით 510 ოთხკ. საჟ. ნედოიმკა 10 მ. 6 კ.

9. დადიანი მიხეილ მელიტონის ძე: ცარიელი ნაჭერი მიწისა, მდებარე ფოთის მე 82 კვ., № 807, როზენის ქ. ზომით 450 ოთხკ. ს. ნედოიმკა 7 მ. 86 კ.

10. მურუსიძე პეტრე და ფოფხაძე: მიწის ნაჭერი №№ 703 და 704, მდებარე ფოთის მე 61 კვ. მილიუტინის ქ. ზომით 348 ოთხკ. ს. ნედოიმკა 71 კ.

11. ქვანია დიმიტრი: ცარიელი მიწის ნაჭერი, კერჩენსკის და პოტიომკინსკის ქუჩების კუთხეში, № 609, ქ. ფოთის დიდ კუნძულზე, ზომით 200 ოთხკ. საჟ. ნედოიმკა 72 კ.

12. ჩილიაევისა მარიამ მიხეილის ასული: ცარიელი მიწის ნაჭერი, № 1114, დიდ კუნძულის პეტროვსკის სანაპიროზე, ზომით 200 ოთხკ. ს. ნედოიმკა 1 მ. 55 კ.

13. შაბუროვი სოლომონი: ცარიელი ადგილი, № 582, მდებარე დიდ კუნძულზე, კარჩენსკის და სინოვინსკის ქ., ზომით 200 ოთხკ. ს. ნედოიმკა 2 მ. 63 კ.

14. შილკინისა ეფროსინე ივანეს ასული: ცარიელი მიწის ნაჭერი, № 885, მდებარე დიდ კუნძულზე, ნახიმოვის ქ., ზომით 200 ოთხკ. ს. ნედოიმკა 2 მ. 27 კ.

15. ზურაბ გაბუნიას მემკვიდრენი: ნახევარ ცარიელ მიწის ნაჭრისა, № 465, მდებარე დიდ კუნძულზე, კაზარსკის და იალტის ქუჩების კუთხეში, ზომით 200 ოთხკ. საჟ. ნედოიმკა 2 მ. 23 კ.

16. ემანუილ თეოდორე, დღეს ელიმპიადა ემანუელისა: ცარიელი მიწის ნაჭერი, № 993, მდებარე დიდ კუნძულის სევასტოპოლის ბულვარზე, ზომით 200 ოთხკ. საჟ. ნედოიმკა 22 მ. 20 კ.

17. ალექსანდრე ანდრეევის მემკვიდრენი: ცარიელი მიწის ნაჭერი. № 889, მდებარე დიდ კუნძულზე, ნახიმოვის ქ., ზომით 200 ოთხკ. ს. ნედოიმკა 1 მ. 14 კ.

18. იანოვსკისა გენრიეტტა: ცარიელი ნაჭერი მიწისა, № 32, მდებარე დიდ კუნძულზე, მიხეილის ქ., ზომით 200 ოთხკ. ს. ნედოიმკა 8 მ. 47 კ.

19. ხანდილი სტავრო, ცარიელი მიმიწის ნაჭერი, № 40, მდებარე დიდ კუნძულზე, ნიკოლაევის ქ., ზომით 200 ოთხკ. ს. ნედოიმკა 4 მ. 43 კ.

20. გაიდამაშჩუკი თეოდორე: ცარიელ მიწის ნაჭერი, № 888, მდებარე დიდ კუნძულზე, ნახიმოვის ქ., ზომით 186 ოთხკ. ს. ნედოიმკა 80 კ.

21. ღოლობერიძე ნიკოლოოზ ბესარიონის ძე: ცარიელი მიწის ნაჭერი, № 70, მდებარე დიდ კუნძულზე, ნახიმოვსკის და ხერსონის ქუჩების კუთხეში, ზომით 200 ოთხკ.-ს. ნედოიმკა 13 მ. 34 კ.

22. დიუდიჩი ვილჰელმ პეტრეს ძე: ცარიელი მიწის ნაჭერი, № 776, მდებარე დიდ კუნძულზე, კაზარსკის ქუჩაზე, ზომით 200 ოთხკ. საჟ. ნედოიმკა 4 მან. 21 კაპ.

23. იმნაძისა ეფროსინე ალექსის ასული: მიწის ნაჭერი, № 855, ძველ ხის სახლით, მდებარე დიდ კუნძულზე ბერდიანსკის ქუჩაზე, ზომით 200 ოთხკ. ს. ნედოიმკა 64 კაპ.

24. კიზირია გოგია, ცარიელი მიწის ნაჭერი, № 487, მდებარე დიდ კუნძულზე, ისტომინის ქუჩაზე, ზომით 200 ოთხკ. საჟ ნედოიმკა 6 მ. 73 კ.

25. კინწურეიშვილი თეოფანე: მიწის ნაჭერი, № 611, ხის ფლიგელით რკინით გადახურული, დიდ კუნძულზე, კერჩენსკის ქ., ზომით 200 ოთხკ. ს. 2 მ. 44 კ.

26. ლიუბინსკი ვასილ: ცარიელი ნაჭერი მიწისა, № 641, მდებარე დიდ კუნძულზე, ნარიმოვის ქ., ზომით 200 ოთხკ. საჟ. ნედოიმკა 1 მ. 08 კ.

27. ხუხიაშვილი გიორგი: ცარიელი მიწის ნაჭერი, № 597, მდებარე დიდ კუნძულზე, ლეფორტოვის და კარჩენსკის ქუჩების კუთხეში, ზომით 200 ოთხკ. ს. ნედოიმკა 3 მ. 63 კ.

28. მელიქ-აგამონოვისა ელენე: ცარიელი მიწის ნაჭერი, № 642, მდებარე დიდ კუნძულზე, ტაგანროგის და კარნილოვის ქუჩების კუთხეში, ზომით 200 ოთხკ. ს. ნედოიმკა 6 მ. 11 კ.

29. ნაკაშიძისა სოფიო: ცარიელი მიწის ნაჭერი, № 75, მდებარე დიდ კუნძულზე, ხერსონის ქ., ზომით 200 ოთხკ. საჟ ნედოიმკა 3 მ. 54 კ.

30. ხოშტარიასი პელაგია პეტრეს ასული: ცარიელი მიწის ნაჭერი, № 236, ლიალინის ქ., ზომით დაახლოვებით 130 ოთხკ. საჟ. ნედოიმკა 23 მან. 23 კ.

31. მიხაილაშვილი არონ აბრამის ძე: ცარიელი მიწის ნაჭერი, № 249, მდებარე მე-24 კვ., ივანოვის ქ., ზომით დაახლოვებით 260 ოთხკ. საჟ. ნედოიმკა 56 მან. 32 კ.

32. ეფრემაშვილი დავით ისლაკის ძე: მიწის ნაჭერი, № 19, ერთის ქვითკირის დუქნით, მდებარე მე-III კვ., გრეჩესკის ქ ზომით 20 ოთხკ ს. ნედოიმკა 30 მ. 15 კ.

33. ჯანჯღავასი ეფროსინე შავარდენის ასული: ცარიელი მიწის ნაჭერი, № 253, მდებარე მე-XXIV კვ., ლაზარევიჩის და ივანოვის ქუჩების კუთხეში, ზომით 260 ოთხკ. ს. ნედოიმკა 15 მან. 86 კ.

34. გასან-ჯალალოვი ივანე გრიგორის ძე: მიწის ნაჭერი, № 238 ორი ხის სახლით, მდებარე მე-23 კვ. ლაზარევიჩისა და ივანოვსკის ქუჩების კუთხეში, ზომით 130 ოთხკ. ს. ნედოიმკა 87 მ. 63 კ.

35. კვინიხიძე ბესარიონ მაქსეს ძე: მიწის ნაჭერი, № 44 ერთი ქვითკირის დუქნით, მდებარე მე-4 კვ., მიხეილის ქუჩ., ზომით 30 ოთხკ. ს. ნედოიმკა 36 მ. 33 კ.

36. ნასხლეტაშვილი აბრაამ, მიწის ნაჭერი, № 45 ერთი ქვითკირის დუქნით, მდებარე მე-4 კვ., მიხეილის ქ., ზომით 40 ოთხკ. საჟ. ნედოიმკა 26 მ. 03 კ.

37. ჩილინგირი იანი: ცარიელი მიწის ნაჭერი, № 277, მდებარე მე-25 კვ., მინგრელსკის და ლაზარევიჩის ქუჩების კუთხეში, ზომით 40 ოთხკ. ს. ნედოიმკა 1 მ. 41 კ.

38. ტორონჯაძე პავლე იაკობის-ძე: მიწის ნაჭერის ნაწილი, № 763, ერთი ხის სამზარეულოთი, მდებარე მე-35 კვ., მინგრელსკის ქ., ზომით 130 ოთხკ. ს. ნედოიმკა 5 მ. 51 კ.

39. მიხაილაშვილი არონ აბრამის-ძე: მიწის ნაჭერი, № 45, ოთხი ქვითკირის დუქნით და ერთი ფურნეთი, მდებარე მე-4 კვ. მიხეილის და ივანოვსკის ქუჩების კუთხეში, ზომით 200 ოთხკ. ს. ნედოიმკა 204 მ. 86 კ.

და 40. გვასალია დუტუ ნიკოლოოზის-ძე: ნახევარი მიწის ნაჭერისა, № 451, მდებარე მე-XXXV კვ., სვანეთის ქ., ზომით 130 ოთხკ. ს. ნედოიმკა 2 მ. 94 კ. (3—6.—1)


**მხოლოდ 1 მ. 50 კ. ვყიდი**
**და თითქმის მუქთად ვაძლევ!!!**

ძალზე საინტერესოა! ვუგზავნი მსურველს ფას-დადებით ბაჟის გასტუმრებით და გამოგზავნით უბეოდ იმ წამსვე, რა წამსაც წერილს მივიღებთ, 10 ცალს იუმორიულ ფოტოგრაფიულ სურათს, მეტად საგულისხმო (პიკანტნი) შინაარსისა. 10 ცალის ფასი 1 მ. 50 კ. 20 ცალი—2 მ. 80 კ. ადრესი Y. Kaliski, Bruxelles rue de l'escalienr, 30. Бельгія.

ვინც ნარდად ბლომად იყიდის, 10%-ს დაუკლებთ. მიწერ-მოწერა რუსულს ან გერმანულს ენაზე.
(10—№ 16—4) (Метцль и Ко № 15603)

**ქუთაისში**
**კიწმარიშვილისდა ამხ.**
**თესლეულობის კანტორამ**
მიიღო დიდ-ძალი იონჯის, კოინდრის, სამყურის, პურის, ეკლის ხის, ბჟოლის და ყოველგვარ ბოსტნეულობის და ყვავილების თესლეულობა. პრეისკურანტები ყველას უფასოდ. (30—ფ.—30)

პირველი კერძო სამკურნალო
**დოქ. ნავასარდიანისა**
დაარსებულია 1880 წ.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ყოველ დღე, კვირეებს გარდა.

**ღ ი ღ ი თ:**

**ზ. ა. ნავასარდიანი**: 11—12 ს. ქირურგ. ვენერიული (სიფილისი) და საშარდე.
**გ. მ. ჩიქოვანი**: 9½—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანაზოვი**: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვების.
**მ. გ. ავეტისიანცი**: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.
**ა. მ. ბუჩინოვი**: 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
**კ. ი. გეღიაშვილი**: 1—2 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**ა. პ. კარაპეტიანცი**: 1—1½ ს. შინაგანი და საბავშვო.
**ა. ი. შჩერბინინა**: 1½—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.
**გ. ი. გურგენოვი**; 1—2 საათ. ქალებისა და საბებიო.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ. კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი
მედიც. დოქტორი **ზ. ა. ნავასარდიანი**
(150—ხალ.—68)

**გამოვიდა და დარიგდა გასაყიდად**
ახალი ქართული წიგნი
**ცოდნა და რევოლიუცია**
გადმოკეთებული მთაგორელისმიერ, გამოცემა „გუთნისა“; ფასი 7 კაპეიკი. (5—უ—5)

**ნამდვილი კახური ღვინო**

Товарищество Кахетинскихъ Виноградарей „Дзмоба“ „ძმობა“
კახეთის მევენახეთა ამხანაგობა
въ Тифлисъ.
Головинскій проспектъ ...
Телефонъ №1036.

**ფასები ყველასათვის ხელმისაწვდენი.** (100—56)

მიიღება ხელის მოწერა 1907 წლისათვის.
**საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი**
წელიწადი **ნაკადული** მესამე
1097 **წლის** 1 **იანვრიდან** 1908 **წლის** 1 **იანვრამდის წლიურ ხელის-მომწერლებს მიეცემა:**

**24** წიგნი, ჟურნალი „ნაკადული“ **მცირეწლოვანთათვის** **12** წიგნი, ჟურნალი „ნაკადული“ **მოზრდილთათვის**

დასურათებული წიგნები წლიურ ხელის-მომწერთა საჩუქრად არა ნაკლებ ასის გვერდისა თითო. პირველად მიიღებენ გრიმის ზღაპრებს.

წლიური ფასი ორივე გამოცემისა დამატებებით, ე. ი. 39 წიგნისა რჩება ისევ 5 მანეთი, ნახევარის წლით 2 მან. 50 კაპ., ცალკე პატარებისათვის 24 წიგნი—3 მანეთი, მოზრდილთათვის 12 წიგნი—3 მანეთი. ხელის მოწერა მიიღება წლიურად და ნახევარი წლით. თითო ნომერი ჟურნალისა პატარებისათვის ღირირება 15 კაპ., მოზრდილთათვის—25 კაპ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ვთხოვთ ხელის-მომწერლებს ადრესი გარკვევით დასწერონ, დროზე შეგვატყობინონ ბინის გამოცვლა.

**ხელის მოწერა მიიღება:**

1) „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპ., ზუბალაშვილის სახ., № 8 ყოველ დღე 9—2 საათამდე, სამშაბათობით საღამოთიც; 2. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა, სახლი თავად-აზნაურ.; 3. წიგნის მაღაზია „Новая Рѣчь“-ში, გოლოვინის პროს.; 4. წიგნის მაღაზია „Образованіе“-ში, მიხაილოვის ქუჩა; 5. **ქუთაისი**, წიგნის მაღაზია „კოლხიდა-ში“; 6. **ბაქო,** ანა გრიგოლის ასულ ქვანიასთან და ნინო ქაიხოსროს ასულ დეკანოზიშვილთან; 7. **ბათუმი**, მარიამ ივანეს ასულ ელიავასთან, კნეინა სოფიო ნაკაშიძესთან და „Черноморскія Новости“-ს რედაქციაში; 8. **ყვირილა**, წიგნის მაღაზია „ივერიაში“; 9. **ოზურგეთი**, წიგნის მაღაზია „იმედში“; 10. **თელავი**, საზოგადო ბიბლიოთეკაში, ბ. გოშაძესთან: 11. **ელისავეტოპოლი**, ბ. კონსტანტინე ოდიშარიასთან; 12. **ახალციხე**, სამოქალაქო სასწავლებლის ინსპექტორ ბ. ქიქოძესთან.

რედაქტორი: **მ. ი. დემურია.** გამომცემელი: **თ. პ. ი. თუმანიშვილი.**

ჟურნალში მონაწილეობას ღებულობენ საუკეთესო ქართველი მწერლები და მხატვრები.